საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 10 ოქტომბერი. 2018 წ. №201 (8602) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ფრანკფურტის მერი პეტერ ფელდმანი:

ქართული დამწერლობა არის შედევრი, რომელიც იუნესკომ კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანა

ამის შესახებ ფრანკფურტის მერმა პეტერ ფელდმანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის პატივსაცემად ფრანკფურტის მერიაში გამართულ მიღებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პეტერ ფელდმანმა აღნიშნა, რომ საქართველო არის მშვენიერი ბუნების ქვეყანა ულამაზესი დედაქალაქით, უმდიდრესი სამზარეულოთი და ძალიან სტუმართმოყვარე ხალხით.

— ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩვენთვის უდიდესი პატივია გიმასპინძლოთ ფრანკფურტის მერიის იმპერატორთა დარბაზში, რომელიც ჩვენი ყველაზე ცნობილი დარბაზია და სადაც ყოველთვის საპატიო სტუმრებს ვმასპინძლობთ და მათ შორის არიან წიგნის ფესტივალის სტუმრები. კეთილი იყოს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმრობა. ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა. პრეზენტაციის მთავარი თემაა ქართული ანბანი და მისი 33 ასობგერა, რომლითაც ჩვენი სტუმარი ქართველი მწერლები გამოხატავენ საკუთარ თავებს. ქართული დამწერლობა არის შედევრი, რომელიც იუნესკომ კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანა. ვიცი, რომ მრავალფეროვანი ლიტერატურული და კულტურული პროგრამა ჩამოგვიტანეთ. საპატიო სტუმრის პროგრამა წიგნის ფესტივალის სტუმრებს აძლევს საშუალებას, ჩაუღრმავდნენ მის კულტურას. საქართველოს უკვე ფართო საზოგადოება იცნობს. ეს არის მშვენიერი ბუნების ქვეყანა ულამაზესი დედაქალაქით, უმდიდრესი სამზარეულოთი და ძალიან სტუმართმოყვარე ხალხით. მოხარული ვართ, რომ გმასპინძლობთ გამოფენაზე, რომელმაც 1480 წლიდან თავი დაიმკვიდრა, როგორც უმნიშვნელოვანესმა ღონისძიებამ, რომლის ფარგლებში ასევე იყიდება წიგნები და ეწყობა ბევრი ღონისძიება, მათ შორის ავტორების, გამომცემლების ჩართულობით. ქართული პავილიონის ყველა სტუმარს ვუსურვებ, მაქსიმალურად ჩაუღრმავდეს წიგნებს და მიიღოს დიდი სიამოვნება. დიდ მადლობას ვუხდი გამოფენის ორგანიზატორებს, სტუმრებსა და ქართველ ავტორებს და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, — განაცხადა პეტერ ფელდმანმა.

პარლამენტში ხელფასები იზრდება!!!

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის დაფინანსება 2 605 000 ლარით იზრდება. ასევე, იზრდება შრომის ანაზღაურება 1 705 600 ლარით, მომუშავეთა რიცხვი კი უცვლელი რჩება. ფინანსთა მინისტრის მოადგილის გიორგი კაკაურიძის განმარტებით, საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტს მთავრობა არ გეგმავს და ბიუჯეტის პროექტზე მუშაობის პროცესში თუ პარლამენტი ბიუჯეტს შეცვლის, ახალ ბიუჯეტშიც შეცვლილი თანხები აისახება. „პარლამენტს ბიუჯეტი უკვე დამტკიცებული აქვს მიმდინარე წლის ივნისში და სწორედ ეს მონაცემებია ასახული ბიუჯეტის პროექტში“, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის იანვრიდან პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში ბრუნდება. პარლამენტის გადატანის მიზეზად უმრავლესობის დეპუტატები ხარჯების ოპტიმიზაციას ასახელებდნენ. პარლამენტმა ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის განხილვა გუშინ დაიწყო. ბიუჯეტის პროექტს ადამიანის უფლებათა დაცვისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში განიხილავენ.

ისევ თაღლითობა, ფარსი, კორუფცია! 4

აფხაზეთი – ადგილი, სადაც ადრე სამოთხე იყო, დღეს სულთა სამეფოს ჰგავს... 8

ერო და ბერო!

დავუბრუნოთ ი. გოგებაშვილის „დედაენა“ სკოლას!



მოგეხსენებათ, **„დედაენას“** — ქართული ანბანის სწავლების იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს — **2013 წელს** კულტურის სამინისტრომ მიანიჭა არამატერიალური **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის** სტატუსი, ხოლო **2014 წელს** საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მას განესაზღვრა **ეროვნული კატეგორია;** ეს ძეგლი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს იუნესკოს მიერ **საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლისა — ქართული ანბანისა** (2016 წ.). ყოველივე ეს სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს ამ **ძეგლის სიცოცხლისუნარიანობა და დაიცვას** იგი. სწორედ ამ მიზნით 2018 წელს განათლების სამინისტრომ ბ-ნი **მ. ჩხენკელის** გადაწყვეტილებით შექმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის საფუძველზე გადაემუშავებინა სასკოლოდ **ი. გოგებაშვილის „დედაენა“;** ამ საქმის ინიციატორი და ძირითადი შემსრულებელი **იყო იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება.** კომისიის მუშაობას ზედამხედველობას უწევდა მინისტრის მოადგილე ბ-ნი **თ. მურღულია.** კომისიამ (თავმჯდომარე **აკად. ა. არაბული**) დათქმულ ვადებში დაასრულა სამუშაო და ი. გოგებაშვილის პრინციპების გათვალისწინებით სასკოლოდ მოამზადა ი. გოგებაშვილის „დედაენა“. **გაუგებარი მიზეზების გამო, განათლების სამინისტრომ არ შეასრულა დანაპირები და ეროვნული სკოლა დარჩა „დედაენის“ გარეშე!** ფაქტობრივ, „დედაენა“ შეეწირა გრიფირების სისტემაში არსებულ უკანონობას. ეს ფაქტი კი გახდა ქართველი საზოგადოების სამართლიანი აღშფოთების მიზეზი.

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება გრძნობს პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობისა და ეროვნული სკოლის მიმართ; ამიტომ **2018 წლის 11 ოქტომბერს** ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად მართავს შეკრებას თემაზე: **„გადავარჩინოთ ი. გოგებაშვილის „დედაენა“; დავუბრუნოთ იგი ქართულ სკოლას!“**

შეხვედრის ადგილი: **არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი** (პ. ინგოროყვას ქ. № 8).

შეხვედრის დრო: 14 საათი.

გთხოვთ მოგრძანდეთ!

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების
თავმჯდომარე,
დეკანოზი
კონსტანტინე გიორგაძე

გაზეთის გამოწერისთვის შეგიძლიათ მიმართოთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 599 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

თუ ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი არ შევინარჩუნეთ, კრიმინალთან ბრძოლაში ჩვენს წარმატებებს არანაირი მნიშვნელობა არ ექნება

გიორგი გახარია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის 9-თვიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: **„შინაგან საქმეთა სამინისტროში, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ არანირი მნიშვნელობა არ ექნება კრიმინალთან ბრძოლაში ჩვენს წარმატებებს, თუ ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი არ შევინარჩუნეთ და არ ავამაღლეთ. სწორედ ამიტომ შევქმენით ეს დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის ძირითადი ფუნქცია არის ქალთა მიმართ ძალადობის, არასრულწლოვნების მიმართ და არასრულწლოვნების მიერ, ასევე, სხვადასხვა სახის დისკრიმინაციით ან სიძულვილის გრძნობით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ხარისხზე ზედამხედველობა, სტანდარტების დანერგვა და იმ მაღალი ნორმების შემოტანა ჩვენს სისტემაში, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო სექტორის, საზოგადოების განვითარებისთვის.**

მერწმუნეთ, რომ იმ თანამშრომლებმა, ახალგაზრდებმა, რომლებიც ამ დეპარტამენტში მუშაობენ, ამ 9 თვის განმავლობაში უდიდესი სამუშაო გასწიეს, მათ მართლაც კარგი შედეგები აქვთ. თქვენ ამას ყველაფერს ნახავთ და ეს აისახება იმ სტატისტიკურ მონაცემებში, რომლებსაც ჩვენ ყოველთვიურად ვაქვეყნებთ. მე მინდა, მათ მადლობა გადავუხადო. მინდა, ასევე, მადლობა გადავუხადო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, რომლებთანაც ხშირად მწვავე დისკუსია გვაქვს ამ თემებზე, მაგრამ გარკვეული პროგრესი გვაქვს. დღეს იყო შეხვედრა, კონფერენცია, სადაც ჩვენ შევაჯამეთ მიღწეული და დავსახეთ ის გეგმები, რომლებზეც გვინდა ვიმუშაოთ 2019 წელს. მაგალითად, თუ წლევანდელი წელი მივუძღვენით ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიმართულებას, მომავალი წელი გვინდა, დავგეგმოთ და ეს იქნება არასრულწლოვნების მიერ და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის პრევენცია“.

ოჯახში პოლიციელებიც ძალადობენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს დეპარტამენტის მუშაობის 9-თვის ანგარიში წარუდგინა.

მისასალმებელ სიტყვაში გიორგი გახარიამ ხაზი გაუსვა სამინისტროს პოლიტიკის გამკაცრებას იმ შემთხვევებზე, როდესაც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობაზე პოლიციელთა მხრიდან არასათანადო რეაგირება გამოვლინდა.

„ჩვენთვის რთული და ამავდროულად მნიშვნელოვანი იყო ამ ნაბიჯის გადადგმა, რომ გარკვეულწილად, გაგვემკაცრებინა შიგნით სისტემაში თანამშრომელთა მხრიდან ოჯახური ძალადობის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის გამკაცრება. ჩვენ კარგად გვესმის ამასაც რამხელა პრევენციის ძალა აქვს და რამხელა მორალური მნიშვნელობა აქვს, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, რომელიც ეჭვმიტანილია ოჯახური ძალადობის ჩადენაში, მის მიმართ პასუხისმგებლობა უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად დროული, ეფექტური და ეს ჩვენი შიდა დისციპლინის თემაც გახლავთ,“ — განაცხადა გიორგი გახარიამ.

2018 წელს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე არასათანადო რეაგირების გამო დისციპლინური სახდელი 8 პოლიციელს დაეკისრა.

ეს არის ერთი მსახიობის თეატრი

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია აცხადებს, რომ ის მისი ბიზნესომბუდსმენობის პერიოდში ყველა მსხვილ ბიზნესმენთან თუ ბიზნეს ჯგუფის წარმომადგენელთან აწარმოებდა შეხვედრებს, მათ შორის, ზაზა ოქუაშვილთანაც.

„მე როგორც დღეს, ასევე მაშინაც კაბინეტში არ ვმუშაობდი და მსგავსი შეხვედრები მქონდა ყველა მსხვილი ბიზნესმენის ან ბიზნესჯგუფის წარმომადგენელთან როგორც ჩემთან, ისე მათ ოფისებსა და ქუჩაშიც. ეს შეხვედრა შედგა ბიზნეს-ცენტრში და ბიძინა ივანიშვილი იქ იყო, როგორც ქვეყნის ყველაზე მსხვილი ბიზნესმენი. ამ შეხვედრის ამოცანა და მიზანი გახლდათ ადგილობრივი წარმოების დახმარება, ხოლო ყველაფერი, რაც შემდგომ მოხდა, ეს არის ერთი მსახიობის თეატრი. ეს უკვე ღიმილისმომგვრელია და მართლა მრავალსერიიან კომედიად გადაიქცა ეს ყველაფერი,“ — განაცხადა გიორგი გახარიამ.

„ქართული ოცნებისა“ და მისი თავმჯდომარის წინააღმდეგ კამპანიამ შავი პიარის ხასიათი მიიღო

სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნებისა“ და მისი თავმჯდომარის წინააღმდეგ ამ კამპანიამ მიიღო შავი პიარის ხასიათი, რომელიც არის გაჟღენთილი სიძულვილით და დაპირისპირებით, რაც ნამდვილად არ ეკადრება არც ერთ ქვეყანას, რომელსაც ევროატლანტიკური ინტეგრაციის მისწრაფება აქვს, — ამის შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძემ სალომე ზურაბიშვილის მიერ კომერციული ბანკიდან სესხის აღებასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, ოპოზიციის განცხადება არის საკითხის სპეკულირება.

„ჩვენ არ გვჭირდება, რომ რაღაცები დავმალოთ ჩვენი საზოგადოებისგან, პირიქით, სრული უფლება გვქონდა, ჩვენი კანდიდატი დაგვეყენებინა, რაც არ გავაკეთეთ შეგნებულად. ამიტომ ოპოზიციის განცხადება არის საკითხის სპეკულირება. არაფერი განსაკუთრებული არ არის იმაში, რომ ღია მხარდაჭერა გამოვუცხადოთ სალომე ზურაბიშვილს. ამასთან დაკავშირებით რატომ აქვთ ვიღაცებს კითხვის ნიშნები, ეს მე პირიქით მიჩენს კითხვის ნიშანს, ხომ არ სპეკულირებენ ეს ადამიანები. ნებისმიერ თემაზე ხდება სპეკულირება, რაც არის ძალიან ცუდი. სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნებისა“ და მისი თავმჯდომარის წინააღმდეგ ამ კამპანიამ მიიღო შავი პიარის ხასიათი, რომელიც არის გაჟღენთილი სიძულვილით და დაპირისპირებით, რაც ნამდვილად არ ეკადრება არც ერთ ქვეყანას, რომელსაც ევროატლანტიკური ინტეგრაციის მისწრაფება აქვს“, — განაცხადა კილაძემ.

ცნობისთვის, სალომე ზურაბიშვილმა ბანკ „ქართუდან“ მილიონი ლარი ისესხა.

აქედან დაბომბვა დავიწყეთ, იმათაც რომ ერთი გამოესროლათ, რა გვეშველებოდა?

ჩვენ რომ აქედან დაბომბვა დავიწყეთ, იმათაც რომ ერთი გამოესროლათ, რა გვეშველებოდა? — ამის შესახებ გორის მერმა კონსტანტინე თავზარაშვილმა დევნილებთან შეხვედრაზე განაცხადა. გორის მერის თქმით, 2008 წელს პირველი დაბომბვა ცხინვალის მიმართულებით საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს.

„ჩვენთან არავინ არ იყო გაფრთხილებული. ხომ შეიძლებოდა, აქედან რომ ისვრი, იქიდანაც გამოგიშვან საპასუხოდ. აქ რა მოხდებოდა, წარმოგიდგენიათ, ხომ? ჩვენ მეორე დილით გავიგეთ, რომ გავიღვიძეთ რვაში, ეს რა ხდებოდა, დაიწყო... კაციშვილმა არ ვიცოდით. თქვენ არ იცოდით, ჰოო“, — თქვა გორის მერმა.

ლუგარის ლაბორატორიამ რუს ჟურნალისტებს კარი კიდევ ერთხელ გაუღო!

მოსკოვის მიერ თბილისის რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიის ირგვლივ მორიგი აჟიოტაჟის ატეხვიდან ერთ თვეში ლაბორატორიაში „სპუტნიკის“, რუსეთის ტელევიზიის „პირველი არხისა“ და „რია ნოვოსტის“ გადამღები ჯგუფები შეუშვეს. მათთან ერთად ლაბორატორია „ბიბისი“-ს ჟურნალისტებმაც მოინახულეს.

დღის ბოლოს „სპუტნიკმა“ თავის საიტზე ლაბორატორიაში ვიზიტის შესახებ მომზადებული რეპორტაჟი განათავსა, რომელშიც, კერძოდ, ვკითხულობთ:

„ლაბორატორიის ირგვლივ სკანდალის დაწყებიდანვე საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განაცხადა, რომ არანაირი რუსული ტელეარხებისთვის არანაირი ინტერვიუების მიცემას აღარ აპირებდა და ლაბორატორიაში ვერც ერთი რუსული არხი ვეღარ მოხვდებოდა. ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცენტრი მხოლოდ და მხოლოდ სამეცნიერო კვლევებით იყო დაკავებული და ცდებს არავისზე აწარმოებდა. რამდენიმე კვირაში, იმ ფონზე, რომ სკანდალი არ ცხრებოდა, ლუგარის ცენტრმა გადაწყვეტილება მოულოდნელად შეცვალა.

...თბილისის განაპირას მდებარე ამ ორსართულიან შენობაში მოსახვედრად სპეციალური შემოწმება გავიარეთ: ჩვენი ჩანთები გააშუქეს და თავაზიანად გვთხოვეს, მობილური ტელეფონები კარადებში დაგვეტოვებინა, — „გასვლისას დაგიბრუნებთო“. ჩანთები შემოწმების შემდეგ თან შეგვატანინეს.

შენობის პირველ სართულზე ბიოლოგიური უსაფრთხოების მესამე დონის სწორედ ის განყოფილება მდებარეობს, რომლის ირგვლივაც ამდენი ჭორი და ვერსია ვრცელდება. აქ უამრავი კოლბა და სხვადასხვაგვარი მოწყობილობაა. ცენტრში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აკრედიტებული 3 ვირუსოლოგიური ლაბორატორია მოქმედებს.

„ამ კარს იქით უამრავი მიკროორგანიზმი, ვირუსი და შტამი ინახება. ეს ჩვენი ეროვნული კოლექციაა. რაც აქ მდებარეობს, სხვადასხვა დაავადებების გამოვლენისა და დადგენის საშუალებას იძლევა“, — გვიამბობდა პაატა იმნაძე.

ამ განყოფილებაში გადაღების უფლება არ მოგვცეს, როგორც განმარტეს — უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. თუმცა შესვლა და შიგნით არსებული ინვენტარის მონახულება არ აუკრძალავთ.

რა თქმა უნდა, მე არც ბიოლოგი ვარ და არც ზოგადად მეცნიერი, ამდენად ზუსტად ვერ განვსაზღვრავ, რა ინახება ამა თუ იმ კოლბაში. ერთადერთი, რაც ჩემთვის გასაგები და ცნობადი იყო ამ ოთახში — ეს ბიოლოგიური საფრთხის ნიშანი „Biohazard“ იყო.

მთელი ამ დროის განმავლობაში არ მტოვებდა შეგრძნება, რომ გარკვეული დროით აღმოვჩნდი იმ ადგილზე, სადაც ადამიანთა ყველა თუ არა, უამრავი უბედურებაა თავმოყრილი. ავადმყოფობა და ვირუსი ხომ სხვა არაფერია, თუ არა უბედურება.

„ამ განყოფილებაში დაშვება მხოლოდ 4 ადამიანს აქვს“, — განმიმარტა იმნაძემ. „ვირუსების ბიბლიოთეკის“ შემდეგ ჟურნალისტები მეორე სართულზე აგვიყვანეს, სადაც ლაბორატორიის თანამშრომლების გაცნობის შესაძლებლობა მოგვეცა. ჩემდა გასაკვირად, მათი უმრავლესობა ქალი აღმოჩნდა.

„აქ ორსულებიც კი გვყვანან. როგორ ფიქრობთ, გამოუშვებდნენ აქ მეუღლეები, ლაბორატორიაში რომ მართლაც ასეთი საშიში იყოს?“, — იხუმრა იმნაძემ.

ეს სივრცე ერთ დიდი დარბაზს წამოადგენს, რომელიც მინის გამყოფებით რამდენიმე ოთახად არის დაყოფილი.

„Open Space“-ში, სადაც ვიმყოფებოდით, ისეთი შეგრძნება ჩნდებოდა, რომ ეს ჩვეულებრივი ოფისია. სხვა ცხოვრება — "შუშებს მიღმა". იქაურობა შიგ შეუსვლელად, შუშის გამყოფებიდან დავათვალიერეთ. ყველაფერი სტერილური იყო და საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისთვის გაუგებარი.

თანამშრომლებს სამედიცინო ხალათები აცვიათ, ზოგიერთს რესპირატორული ნიღბები, ქუდები და ხელთათმანები უკეთია.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთ-ერთ ლაბორატორიულ ოთახში შესასვლელი. მასში მოსახვედრად ჯერ შხაპის ოთახი უნდა გაიარო. თანამშრომლებს იქ მოხვედრა შხაპის მიღების შემდეგ, მხოლოდ სპეცტანსაცმელში შეუძლიათ. შხაპის მიღება აუცილებელია გამოსვლის დროსაც. ამ ოთახში ყოფნისას დაჟინებით გვთხოვეს, არაფერს შევხებოდით.

მეორე სართულზე ლაბორატორიული სივრცეების მცირე ნაწილი იჯარით ამერიკელ სპეციალისტებს აქვთ აღებული. როგორც იმნაძემ აგვიხსნა, ისინი სქესობრივი გზით გადამდები ვირუსული დაავადებების კვლევებს აწარმოებენ.

„მათ მთელი მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ასეთი წერტილი აქვთ. მათ სჭირდებათ ადგილზე ყოფნა, რათა რომელიმე კონკრეტული შემთხვევის გამოვლენისას დაუყოვნებლივ შეუდგნენ კვლევას“, — ასე უპასუხა იმნაძემ ჩემს კითხვას, რატომ გადაწყვიტეს ამერიკელებმა ამ ვირუსების შესწავლა მაინცდამაინც თბილისში.

ამერიკელების ამ ოფისთან ჩვენი ექსკურსია ფაქტობრივად დასრულდა. შენობაში დაახლოებით 1 საათი დავყავით, რის შემდეგაც თავაზიანად გვთხოვეს, იქაურობა დაგვეტოვებინა. მობილურების დაბრუნებამდე გვთხოვეს, შეგვევსო სპეციალური ანკეტა და მიგვეთითებინა, რამდენი ხანი დავყავით ლაბორატორიაში და რა მიზნით.

დასკვნების გამოტანას იმაზე, რით არის დაკავებული ეს ლაბორატორია და საშიშია თუ არა იგი საერთოდ, რადგან სპეციალისტი არ ვარ, ვერ დავიწყებ. ჩვენს ლაშქრობას უფრო სიმბოლური ხასიათი ჰქონდა. ჟურნალისტისთვის იმ ადგილზე მოხვედრა, სადაც მოხვედრა რთულია — ეს პროფესიული ინსტინქტია. ლაბორატორიის ხელმძღვანელობას კი ეს ჟესტი სჭირდებოდა, რათა ეცადა, დაემტკიცებინა, რომ ეს ობიექტი უსაფრთხოა“.

ACCENTNEWS.GE/GE

ზაალ ანჯაფარიძე:

გვარამიას ყოვლად უმსგავსო, ჰომოფობიურ გამოხდომაზე კრიტიკა მესამე სექტორის დუმილმა გამოიწვია

არის თუ არა პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება მესამე სექტორის დელეგიტიმაციის მცდელობა, უნდა გამოეხატათ თუ არა პოზიცია არასამთავრობო ორგანიზაციებს ნიკა გვარამიას განცხადებებზე და რა გავლენა ექნება ხელისუფლებისა და მესამე სექტორის დაპირისპირებას წინასაარჩევნო პროცესზე?! ამ თემაზე ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** საუბრობს.

— პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეულმა ნაწილმა მათი დელეგიტიმაციის მცდელობად შეაფასა. რა გავლენას იქონიებს ეს წინასაარჩევნო პროცესზე?

— პარლამენტის თავმჯდომარის შეფასება იყო საკმაოდ ხისტი, მაგალითად, სიტყვა „ფაშიზმის“ ხმარება, თუმცა ეს იყო მისი პოზიცია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და მის გამოსვლაში არასამთავრობო ორგანიზაციების დელეგიტიმაციის მცდელობა ვერ დავინახე. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ბ-ნი კობახიძე სხვა რიტორიკით და ტერმინებით ისაუბრებდა. პარლამენტის თავმჯდომარის კრიტიკა მესამე სექტორმა იმით გამოიწვია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მყისიერად ეხმაურებიან ხოლმე რომელიმე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის მიერ საჯაროდ გაკეთებულ ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ განცხადებებს. ამჯერად კი, გვარამიას ყოვლად უმსგავსო და მართლაც ჰომოფობიურ გამოხდომაზე დუმილი არჩიეს.კობახიძეს არ დაუკავშირებია ეს კრიტიკა არასამთავრობოების კრიტიკულ განცხადებებთან, რომლებიც ბოლოდროინდელ მოვლენებს ეხებოდა. ამასთან, მინდა ყურადღება მივაქციო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ერთობლივი განცხადების ერთ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან პასაჟს. როდესაც ისინი საუბრობენ კორუფციაზე, პოლიტიკურ კრიზისსა და არაფორმალურ მმართველობაზე, იყენებენ სიტყვას „სავარაუდო“ და სწორადაც იქცევიან, რადგანაც ვიდრე დამჯერებლად ვიტყოდეთ, რომ ეს მართლაც ასეა, ამ ყველაფერს ჯერ უტყუარი ფაქტებით სჭირდება დამტკიცება. ნიშანდობლივია ისიც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებას ხელს მხოლოდ რვა ორგანიზაცია აწერს, მაშინ როდესაც საქართველოში რამდენიმე ასეული აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციაა. ვფიქრობ, ეს სიტყვიერი ფარიკაობა ირაკლი კობახიძესა და ენჯეობის ამ მცირე ჯგუფს შორის, ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს საარჩევნო პროცესზე, რომელიც მცირე ინციდენტების მიუხედავად, ძირითადად მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. კარგი იქნებოდა, თუ პარლამენტის თავმჯდომარე და მის მიერ მოხსენიებული ენჯეოები მაგიდასთან დასხდებიან და იქ განიხილავენ ყველა საკამათო საკითხს, რაც ხელს შეუწყობდა დაძაბულობის და გაუგებრობის განმუხტვას.

— რა შეიძლება გამოიწვიოს არასამთავრობოებისა და ხელისუფლების დაპირისპირებამ. როგორ ფიქრობთ, არჩევნების შეფასებისას, შესაძლებელია თუ არა, მესამე სექტორმა სახელისუფლებო კანდიდატის მიმართ განსაკუთრებული, ხისტი პოზიცია დაიკავოს?

— არ მგონია, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციებმა რაღაც კონიუნქტურული ინტერესების და წყენის გამო, საკუთარ თავს ასეთი დიდი რეპუტაციული ზიანი მიაყენონ. ამისთვის ბევრი მიზეზი არსებობს.მათ შორის, მესამე სექტორის დონორების წინაშე ანგარიშვალდებულება. თუ ეს მართლაც მოხდა, ეს კონკრეტული ორგანიზაციები შესაძლო დაპირისპირებაში მხარე აღმოჩნდნენ და საზოგადოებაში ასეთი აღქმა შეიქმნა, სწორედ ეს იქნებოდა მათი დელეგიტიმაციის დასაწყისი. მე არ ვისურვებდი მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებას.

◎ როდის დაფასდება ერთგულება და პატიოსნება?

ქაჯები მიდიანო, ვითომ?!

ქაჯები მიდიანო — რამდენი წლის წინათ ითქვა. რა იმედიანად ვიყავით, აგუგუნდა ხალხი, დასცხეს ტაში. ქაჯები თუ წავლენ, ამას რა სჯობსო. ეჰ, თქვენც არ მომიკვდეთ. ნეტავი მართლა წასულიყვნენ. მაგრამ არა! წასვლა კი არადა, კიდევ უფრო მყარად დაფუძნდნენ, გამრავლდნენ. ისე აირივნენ ხალხში, ვერც კი გაარჩევ, ვინ ქაჯია და ვინ — ტარიელი და ავთანდილი. იცით, რატომ? ეს კარგად აგვიხსნა ფატმანმა: „კაცნია ჩვენებრვე ხორციელნიო“, მაგრამ დაუკვირდით, კიდევ რა თქვა და როგორ დაახასიათა მან ქაჯები:

„იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა
დაუბრმობენ,
ქართა აღძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა
დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად
დააშრობენ,
სწადდეს — დღესა ბნელად იქმენ, სწადდეს —
ბნელსა ანათობენ“ .



წარმოგიდგენიათ, რა საოცარი ამბავია? ოცდამეერთე საუკუნეში ვართ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, და თურმე ნუ იტყვით, მეთორმეტე საუკუნიდან მოგვდევენ ეს ქაჯები... დიახ, ძველი საუკუნეებიდან მოდიან... ქაჯეთის ციხე კი აიღეს ტარიელმა და მისმა ძმაკაცებმა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქაჯები ვერ ამოძირკვეს, ისინი ირგვლივ მიმოიფანტნენ და თავიანთი ჯადოქრული უნარებისა და ჩვევების წყალობით, საღ-სალამათნი მოვიდნენ ჩვენამდე. დღემდე „იქმენ რასმე საკვირველსა“, დღემდე შეუძლიათ დაატრიალონ მძვინვარე ქარიშხალი, აშალონ და ააფორიაქონ ქვეყანა და ხალხი ოცდამეერთე საუკუნეში! დროის შერჩევაც, რომ კარგად იციან!

არჩევნების წინა დღეებია. ვაი, ასეთ დღეებს... პოლიტიკური სანახაობებითა და მოულოდნელი, „დამრტყმელი“ ინფორმაციებით დაიბნა და გაბრუდა ხალხი. რა ქნას მოსახლეობამ, ვის დაუჯეროს, რას დაუჯეროს. დუნედ და ზანტად მიმდინარე ცხოვრებაც ხელს უწყობს მათ უიმედობას, რა მოეთხოვება საწყალ, ოთხმოცლარიან დახმარებაზე მყოფ ხალხს. როცა ჰპირდებიან — ოღონდ აგვირჩიეთ და ორმოცდაათ ლარს ჩვენ დაგიმატებთ, პირობას გაძლევთო. რა უნდა ქნან? თუმცა, ბევრმა იცის რა არის მათი პირობა. მაგრამ ზოგს ასეთი ზღაპარი-პირობა ურჩევნია მწარე სინამდვილეს.

და ასე, ხალხის განწყობაში უიმედობა სჭარბობს!

იმედიანად არიან მხოლოდ ქაჯებიო, — ამბობენ, მაგრამ, ვიცით კი რომელია ქაჯი? მათ შესახებ ვერაფერს გაიგებ, სანამ პარლამენტში არ მოხვდებიან, ან სამთავრობო თანამდებობებზე არ წამოსკუპდებიან. მაშინ კი იცოცხლეთ, ამჟღავნებენ თავიანთ წარმომავლობას. ისეთ ქაჯობებს სჩადიან, მოდი და ნუ დაინახავ! ახლაც ვხედავთ, სხვათა შორის, **თუ არა ქაჯების შეთქმულება, მაშ, რა არის ეს ვიდეოჩანაწერების სატელევიზიო სერიალები. ჰგონიათ, რომ ასეთი „ხერხებით“ მხოლოდ მთავრობას უტევენ, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ქვეყანას ვნებენ, ვნებენ სამშობლოს, რომელიც მათ არა აქვთ და რა ენაღვლებათ, მათთვის სამშობლო პურის ყანაა, ოქროს საბადოებია, ის ფარა და ნახირია, რომელთაც მაქსიმალურად გამოწველიან, თავად ისარგებლებენ, ჯიბეებს გაისქელებენ** და თუ ასეთი სამშობლო ვერ იპოვეს, მერე ვის ახსოვს უმუშევართა კოლონები, დაბალხელფასიანები, უშემოსავლოდ დარჩენილები! ყოველივე ამასთან ერთად, ისიც როგორ არა ვთქვათ, რომ ასეთი ქცევებით ჩვენ — ხალხს გვაყენებენ შეურაცხყოფას, გულის ტკივილს, გაუგებრობაში გვხვევენ, გონებას გვიბნელებენ, — სამწუხაროდ, ეს მათთვის არაფერია.და არც მიკვირს, ქაჯნი ქაჯობენ, მაგრამ მიკვირს მხოლოდ ერთი რამ: „აქტიური“ ჟურნალისტები როგორ ტირაჟირებას უკეთებენ შეუმოწმებელ და დაუდგენელ ფაქტებს. და იცით, მერე როგორ? ძალიან ტენდენციურად! ამ დაუდგენელ ინფორმაციაში რატომღაც დარწმუნებულები ცდილობენ, მსმენელ-მაყურებლებიც დაარწმუნონ. და ეს ყოველივე არჩევნების წინა დღეებში! არადა, ხომ ვიცით როგორი უნდა იყოს ჟურნალისტი!

კარგა ხნის ამბავია, მაგრამ საგანგებოდ მახსოვს, ჩვენი სახელოვანი ჟურნალისტი ნარგიზა მგელაძე გვიან ღამით მირეკავს, წერილში მოყვანილ ფაქტებს სასამართლომ როგორ უპასუხაო და, როდესაც გაიგო, რომ სასამართლომდე საქმე არ მისულა, ამით დამთავრდა წერილის ბედიც. შემდგომისთვის გადავდოთო. რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი მაგალითი მოვიტანე, ახლა სხვა საუკუნეა, სხვა დრო და სხვა გაგება, მაგრამ მაინც არა მგონია, საზოგადოებისთვის სასარგებლო იყოს მიკერძოებული პოლიტშოუების დადგმა და ქვეყნის ხელმძღვანელობის ავტორიტეტის დაცემაზე თავგადაკლული მუშაობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა, ეს მთავრობა კრიტიკის კი არა, პირდაპირ ლანძღვა-გინების ღირსი. საკვირველზე საკვირველი ისიც არის, როდესაც თავად შეცდომებში, დანაშაულში, ხალხის მოტყუებაში, უგუნური პოლიტიკით რუსეთთან ომში ჩაბმაში (რასაც ქართული, მამაპაპური მიწების დაკარგვა და ასეულობით ახალგაზრდა ვაჟკაცის სიცოცხლის შეწირვა მოჰყვა), მხილებული, ეგრეთ წოდებული, პოლიტიკოსები (მთავრობის ყოფილი წევრები), **მოღალატეს ეძახიან ჩვენი სასიძადულო და საამაყო ადამიანების შთამომავალს, პატრიოტული გრძნობებით აღზრდილ, სამშობლოში ცხოვრებას დანატრებულ ადამიანს, დიპლომატსა და პოლიტიკოსს — სალომე ზურაბიშვილს**.

70-იან წლებში ჩემს მეგობარს სხვა ქართულ ჯგუფთან ერთად, პარიზის დათვალიერება ხვდა წილად. ეს ჯგუფი ლევილშიც მიიწვიეს იქაურმა ქართველებმა და სრულიად ახალგაზრდა სალომე იმ ნიშნით გააცნეს, რომ ნახეთ, რა ნიჭიერ და ჭკვიან ახალგაზრდას („მომავალ თამარ მეფესო“, ასე მოიხსენიეს ღიმილით) გიზრდითო! ბავშვობიდან სისხლხორცში ჰქონდა გამჯდარი სამშობლოს სიყვარული და ერთგულება. ახლა იგი სამშობლოს — საქართველოს ძვირფასი მოქალაქეა და თუ მიეცემა საშუალება, თავის ევროპულ აღზრდას, ზრდილობას, პირუთვნელობას, დაბადებიდან მასში დავანებულ პატრიოტულ გრძნობებსა და ნიჭს არ დაიშურებს მისი ტანჯული ერისთვის და ქვეყნისთვის, სამშობლოსთვის, რომლის ისტორიის ფურცლებში მისი ცხოვრებაც არის მოქცეული.

დანაშაული ბევრი რამ არის, მაგრამ ვფიქრობ, რომ მიუტევებელი დანაშაულია მაშინ, როდესაც იმ დიდ ღირებულებებს, თავად ჩვენს ერს რომ ღირსეულად წარმოაჩენს და აკეთილშობილებს, ლაფს ვასხამთ. აი, ეს არის სირცხვილი და ღალატი!

რა უნდა ვთქვა!.. დაწყობილი და დალაგებული იშვიათად ვყოფილვართ, მაგრამ დღეს მეტისმეტი მოგვდის, არეულობასა და დაბნეულობას ხელისშემწყობებიც რომ გამოუჩნდნენ და ამაზე მთელი „ლეგიონი“ რომ მუშაობს, რა ვქნათ, როგორ გავარჩიოთ თეთრი და შავი, კეთილშობილი, მატყუარა და ოინბაზი ერთმანეთში აგვრევია, საგულდაგულოდ მუშაობს მედია, განსაკუთრებით ზოგიერთი ტელეარხი, რომლებიც ღალატის, მექრთამეობის, ნეპოტიზმის და სხვა ბევრი უბედურების ისეთ შემზარავ „მართალ“ სურათებს გვიმზეურებენ, რომ ადამიანს (თუ ადამიანი ხარ!) შეიძლება გული გაუსკდეს!

ძვირფასო მკითხველო, დარწმუნებული ვარ, თქვენც ჩემსავით ნატრობთ, თუ როდის წავლენ ქაჯები, როდის გავუსწორებთ თვალს სინამდვილეს და არ მოგვერიდება სიმართლის თქმა, როდის დაისადგურებს სიმშვიდე, როდის დაფასდება სიყვარული, ერთგულება, პატიოსნება, როდის არ შეგვრცხვება სამშობლოსა და პატრიოტიზმზე, ჩვენი წარსულისა და დღევანდელობის გმირებზე გულადილი საუბარი. იქნებ, მართლაც მაშინ, როდესაც ქაჯები წავლენ, მაგრამ, წავლენ კი?!

გულნარა სტურუა

ბატონო კახა, გთხოვთ, მიმილოთ ჩემთვის ასე სასიცოცხლოდ აუცილებელი პრობლემის მოსაგვარებლად!

ისევ თაღლითობა, ფარსი, კორუფცია!

ღია წერილი თბილისის მერს და პარტია „ქართული ოცნების“ გენერალურ მდივანს, ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა! ღია წერილს იმიტომ გწერთ, რომ „დახურულმა ბარათებმა“ თძვენამდე ვერ მოაღწიეს.

თბილისის მერიასთან ჩვიდმეტწლიანი უთანასწორო დავის საფუძველზე მე ბრალს ვდებ მერიის ყოფილ და ახლანდელ თანამშრომლებს თაღლითობაში, უფლებამოსილების გადამეტებაში, კორუფციაში. ამ დროის განმავლობაში თბილისში ხუთი მთავრობა შეიცვალა, მაგრამ პიროვნებებს მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“.

გულწრფელად განგიმარტავთ, რომ 2001 წლის 12 ივნისს ჩატარებულ აუქციონზე თბილისის მთავრობამ მომყიდა 60 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც აუქციონზე გასატანად თბილისის მთავრობას არქიტექტურის სამსახურმა წარუდგინა. აუქციონამდე ეს ადგილი თბილისის მაშინდელმა მთავარმა არქიტექტორმა მამუკა ჩხაიძემ რაიონის არქიტექტორთან ერთად პირადად დაათვალიერა, რომელმაც ნაკვეთს ასეთი სახელწოდება მიანიჭა – „ანაპის 414 დივიზიის ქუჩაზე, უნივერსამის მიმდებარედ“. აქ არ არის ნახსენები არც სკვერი, არც გზა და არც სხვა რამ. სინამდვილეში ეს ადგილი წარმოადგენს სკვერის გვერდით გამავალ საფეხმავლო გზას, რომელზედაც ხალხი იშვიათად დადის. მისი სიგრძე ასიოდე მეტრია, ხოლო სიგანე – 8 მეტრი. სწორედ ამ რვა მეტრის ნახევარი, ანუ 4 მეტრის სიგანის მიწა მომყიდა თბილისის მთავრობამ 15-მეტრიანი ზოლის სახით და ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაადასტურა მისი დანიშნულება – „სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტისთვის“.

ხელშეკრულებას ხელს აწერს თბილისის მთავრობის წარმომადგენელი, ვიცე-პრემიერი დავით ღვინიაშვილი. მიწა დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში ჩემს საკუთრებად. ბუნებრივია, გავაკეთე ხელშეკრულებით დადგენილი შენობის პროექტი, რომელიც შეითანხმა მთავარმა არქიტექტორმა და მომცა მშენებლობის ნებართვა და სამშენებლო პასპორტი, მაგრამ მშენებლობა ვერ დავიწყე იმის გამო, რომ ჩემს მიწაზე იდგა ორი, უნებართვო სავაჭრო ჯიხური, რომელთა პატრონებმაც მის გატანაზე სასტიკი წინააღმდეგობა გამიწიეს.

მივმართე თბილისის მთავრობას, როგორც მიწის გამყიდველს და ვთხოვე, შეესრულებინა ნასყიდობის შესახებ საქართველოს კანონისა და ნასყიდობის ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობა. ჩემს თხოვნას მერიის მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ასეთ უშედეგო დავაში გავიდა ოთხი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში არქიტექტურის სამსახურმა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზით, ვადის გასვლის გამო სამჯერ გამიგრძელა მშენებლობის ნებართვის ვადა, მაგრამ მის განხორციელებას ვერ ვახდენდი, რადგანაც საკუთრებას ფაქტობრივად ვერ ვფლობდი მერიის უმოქმედობის გამო.

2005 წლის ივნისში, გარევაჭრობასთან ბრძოლის საბაბით, მერიამ ერთ ღამეში გაიტანა ჯიხურები ჩემი მიწიდან. ამ დროისთვის მშენებლობის ნებართვის ვადა ისევ გასული იყო და ნებართვის ვადის გაგრძელების გამო მივაკითხე მერიის არქიტექტურის სამსახურს. მოულოდნელად ნებართვაზე უარი მითხრეს, აქაოდა, სკვერის მიმდებარე ტერიტორიაა და მშენებლობისთვის შეუსაბამოაო, **თითქოს ცენტრალური პარკები და სკვერები სხვადასხვა დანიშნულების შენობებით არ იყოს გადავსებული.**

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება: ვიდრე მშენებლობას ვერ ვიწყებდი მერიის უმოქმედობის მიზეზით, არქიტექტურის სამსახური ზედიზედ მაძლევდა მშენებლობის ნებართვებს, ხოლო, როდესაც მშენებლობის დაწყების შესაძლებლობა მომეცა, მერიამ „აღმოაჩინა“, რომ თურმე ჩემი პაწია ნაკვეთი სკვერის მიმდებარე ყოფილა და მისი გაყიდვიდან ოთხი წლის შემდეგ გახდა მშენებლობისთვის „შეუსაბამო“.

კი ბატონო, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ეს „შეუსაბამო“ მიწის ნაკვეთი თვით არქიტექტურის სამსახურმა წარუდგინა მერიას გასაყიდად „სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტისათვის“ და თვითონვე წარმართავდა აუქციონის პროცესს, რომ ეს ნაკვეთი მისივე ძალისხმევით გახდა კერძო საკუთრება, ხოლო მესაკუთრის უფლებებს ქვეყნის კონსტიტუცია და ორგანული კანონი იცავს! ამაზე პასუხს ვინ აგებს? იქნებ, მერია ამ საქმეში არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობს.

მერია ეხმარება სტიქიით დაზარალებულებს და, რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს, მაგრამ მე თვით მერიისგან ვარ დაზარალებული და რატომ მექცევა ასე უსამართლოდ?! ზემოთ დასმულ კითხვებს არც მერია და არც არქიტექტურის სამსახური დემონსტრაციულად არ პასუხობენ, მტკიცედ იყენებენ „დუმილის უფლებას“ და ყრუ-მუნჯის პოზა უჭირავთ.

17 წელზე მეტია, რაც მერია ჩემს მიერ მიწის ნაკვეთში და სამშენებლო დოკუმენტაციაში გადახდილ ფულს „ჭამს“, მე კი სანაცვლოდ მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების მოწმობის ფარატინა ქაღალდები შემრჩა ხელში. **ეს თაღლითობაა, ამაზე მეტი დანაშაული არ ჩაუდენიათ „ცენტრ პოინტსა“ და „სვეტის“ ხელმძღვანელებს, რომლებიც თაღლითობის ბრალდებით, კარგა ხანია, ციხეში სხედან.**

მერიამ ფაქტობრივად წამართვა ჩემი მიწის ნაკვეთი და თავისი საჭიროებისთვის იყენებს ფეხით სავალი გზის შემადგენელ ნაწილად. ეს სხვა არაფერია, თუ არა სხვისი ქონების მითვისება, რაც კანონით ისჯება. მერიამ ვერ გააცნობიერა, რომ ეს ადგილი მის მიერაა გაყიდული, კერძო საკუთრებაა და მასზე ძალადობრივი ჯაჯგური ყოვლად დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში პატიოსანი და სამართლიანი მერია უხმაურო, ჩუმად აღიარებდა დაშვებულ შეცდომას (თუ გადაცდომას), ბოდიშს მომიხდიდა ჩემი გაწვალებისა და აბუჩად აგდებისთვის და სასწრაფოდ ალტერნატიულ მიწის ნაკვეთს შემომთავაზებდა..

როდესაც ხანგრძლივ დავაში სამართლიანობას ვერ მივაღწიე, იძულებული გავხდი, მეთხოვა მერიისთვის, რომ ჩემი „შეუსაბამო“ მიწის ნაკვეთი შეეცვალათ სხვა ნაკვეთით და ასეთად დავუსახელე მეტრო „სარაჯიშვილის“ ჩასასვლელის პირდაპირ არსებული დამცავი კედლის წინა ტერიტორია (მაშინ არსებობდა ასეთი კედელი, ახლა – აღარ), რაც არავითარ შემთხვევაში არ შეუქმნიდა დისკომფორტს არავის და არაფერს. არქიტექტურის სამსახური თავიდან დამთანხმდა, მაგრამ შემდეგ კვლავ „ფირფიტა გადააბრუნა“, უარი მითხრა და ყურით მოთრეული მიზეზები მოიშველია, აქაოდა, „ამ ადგილის გასხვისება დაუშვებელია იმის გამო, რომ მეტროსთან მისასვლელი ისედაც გადატვირთულია და საზოგადოებრივი სარგებლობის ტერიტორიას წარმოადგენსო!“ ზუსტად იგივე სიტყვები გამიმეორა მერიამაც ჩემთან გამოგზავნილ საპასუხო წერილში. სინამდვილეში, ჩემ მიერ ადგილსანაცვლოდ დასახელებული ადგილი წარმოადგენდა მეტროს წინა მოედნის უფუნქციო კუთხეს, რომელზეც ათეული წლების განმავლობაში, სეზონზე გასაყიდი საზამთროების გორები იდგა, ხოლო სხვა დროს – გარემოვაჭრეთა დახლები.

ჩემი ღრმა რწმენით, ეს დავა თძვენს ჩაურევლად ვერ გადაწყდება. ამიტომ გთხოვთ, მიმილოთ ურთიერთშეთანხმების საკითხზე მოსალაპარაკებლად და ჩემთვის ასე სასიცოცხლოდ აუცილებელი პრობლემის მოსაგვარებლად.

პატივისცემით,
ნოდარ ჩხარტიშვილი,
მედიცინის დოქტორი, ონკოდერმატოლოგი
ტელ: 599 90 91 74

<u>გიორგი კაკაურიძე:</u> კანაფის ექსპორტით ფინანსური სარგებლის განსაზღვრა ბევრ დაშვებაზეა დამოკიდებული

ფინანსთა მინისტრის მოადგილის გიორგი კაკაურიძის განცხადებით, კანაფის ექსპორტით ფინანსური სარგებლის განსაზღვრა ბევრ დაშვებაზეა დამოკიდებული. მისი თქმით, ამ ეტაპზე კონკრეტული ციფრების დასახელება, როგორი შეიძლება იყოს კანაფის ექსპორტით მისაღები ფინანსური სარგებელი, რთულია.

„ეს ძალიან ბევრ დაშვებაზეა დამოკიდებული, გააჩნია რა მოცულობის იქნება, რამდენი ლიცენზია გაიცემა, რამდენი ფერმერი ჩაერთვება ამა თუ იმ საქმეში. ზუსტი თანხის თქმა დღეს ნამდვილად არ შემიძლია, თუმცა მსოფლიოში რა ტენდენციებიც მიდის, ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად იზრდება ეკონომიკური პროცესი“, – განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ.

ახალი პროექტები სულიერების ამაღლებას სჭირდება

და არა მარიხუანის წარმოებას!

წლეულს ზაფხულის დასაწყისში, საქართველოს მთავრობა შეიცვალა. პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი, როგორც ამბობენ, „ძალით“ „ძლივს“ გადააყენეს, თუმცა გადაყენებამდე ორი კვირით ადრე ჟურნალისტებს მთელი საქართველოს გასაგონად ეუბნებოდა: ნურავის აქვს ჩემი შეცვლის იმედი, დიდხანს ვრჩები პრემიერადო (ისევე, როგორც „ქართულ ოცნებას“ აქვს გამოცხადებული 2030 წლამდე ვიქნებით ხელისუფლებაშიო). როგორც ჩანს, თვითონაც არ იცოდა, თანდათან როგორ იქუფრებოდა ღრუბლები მის თავზე. შეიძლება, „თანდათან“ კი არა, „მყისიერად“ მოხდა ყველაფერი, რადგან იქ, „ზემოთ“, სამთავრობო „კარუსელებში“ (თუ უფრო „ზემოთ“) ეშმაკმაც არ იცის, რა ხდება, ვის როგორ და როდის მოუქსოვენ ხელისუფლებაში მოსვლა-წასვლის საბედისწერო პერანგს.

ასევე იყო ღარიბაშვილის მყისიერი გადაყენების შემთხვევაშიც პრემიერ-მინისტრობიდან. ხალხმა ვერაფერი გაიგო, რატომ მოხდა ეს მოულოდნელობა. კითხვას ვსვამ. ესაა სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობა, როცა ხალხს უმალავენ სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანეს მათთვის საინტერესო საკითხებს, ამით ხომ არაფრად აგდებენ ხალხის მოთხოვნას სიმართლის თქმისადმი!

პრემიერების ცვლილებაში რომ დიდია ბატონი ბიძინა ივანიშვილის წვლილი, ამაში თითქმის ყველა დარწმუნებული ვართ. ამავე დროს მგონია, რომ თვითონ ბატონი ბიძინაც „იმართება“ ქვეყნის გარედან, ოკეანის გაღმიდან თუ გამოღმიდან, ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორისგან“. თუ რა „დოზისაა“ ეს „მართვა“, ამაზე ვერაფერს გეტყვით. როგორც ჟურნალისტს და მოქალაქეს, მე მხოლოდ ის მაინტერესებს, ეს „ცვლილებები“ რამდენად სასიკეთოდ წაადგება ჩვენი ქვეყნის მომავალს.

მთავრობის შეცვლასთან დაკავშირებით ბატონმა ბიძინამ ერთგვარი „ანგარიში“ ჩაბარა საზოგადოებას ტელეეთერში გამოსვლით. ამ გამოსვლაში ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობა დაიხატა. კარგია, როცა სიმართლეს ეუბნები ხალხს, მაგრამ ამავე დროს იბადება კითხვა: **რატომ მივიდა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე?** „ურემის გადაბრუნების“ შემდეგ „გზის დანახვა“ კარგია, მაგრამ რატომ მივიდა საქმე **„ურმის გადაბრუნებამდე“?** ადრეც ვწერდი, ძალიან მინდა, ბატონ ბიძინას ეს „აღიარებები“ მისმა პარტიამ, პარლამენტმა და მთავრობამ მონანიებად მიიღოს-მეთქი და ახლაც ეს მსურს! მონანიება კი იმას ნიშნავს, რომ წარსულს გმობ და ახლებურ მომავალს აშენებ.

ახლა კი ჩემს მოსაზრებას იმის შესახებ მოგახსენებთ, ახალი მთავრობის მოსვლიდან ოთხ თვეში რა შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში, ეკონომიკის მართვის თუ სულიერების ამაღლების სფეროში, რა ტენდენციები დაისახა ქვეყანაში. იქნებ ოთხი თვე ცოტაა და მეც არ მაქვს უფლება, განვსაჯო ჩვენი ცხოვრების ცალკეული საკითხები!.. შეიძლება ასეც იყოს და ვჩქარობ, მაგრამ რომ არ ვთქვა, არ შემიძლია.

მახსოვს, რესპუბლიკურმა პრესამ როგორ დაარისხა ზარები კვირიკაშვილის მისამართით, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის დეკრიმინალიზაცია დააკანონა. უზარმაზარი სათაურებით პირდაპირ ასე მიმართავდნენ მაშინდელ პრემიერს: „ეს შენს დროს მოხდა, კვირიკაშვილო!“.

გამოხდა ხანი, შეიცვალა მთავრობა და ახალი მთავრობა მამუკა ბახტაძის მეთაურობით, პარლამენტთან შეთანხმებით, აცხადებს, რომ მარიხუანის არა თუ დეკრიმინალიზაცია, არა თუ ლეგალიზაცია, კარგი იქნება მის წარმოება-კულტივაციასაც მივყოთ ხელი, გავყიდოთ მსოფლიოში და დაახლოებით 1,5-2 მილიარდამდე მოგებას მიიღებს ქვეყანაო! თურმე მთავრობას ამისი პროექტიც შემუშავებული ჰქონია!!

მოდი და ნუ გაოცდები და ნუ დასვამ კითხვას: ამისთვის მოვიდა ახალი მთავრობა, რომ ეს „ნოვაცია“ „ეხარებინა“ ქართველი ხალხისთვის, საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის?!

(რესპუბლიკური ბეჭდური პრესა ჯერ კიდევ „ზოგავს“ ახალ პრემიერს, თორემ აქაც უნდა აჭრელებულიყო გაზეთები მსხვილშრიფტიანი სათაურით: „ეს შენს დროს ხდება, ბახტაძევ!“)

თავისთავად კარგია მცდელობა, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისთვის სხვადასხვა გზებს სახავდე, მაგრამ მაინც და მაინც ეს სატანური (დიახ, სატანური) გზა რატომ ამოირჩია მთავრობამ? ჩვენი პასუხი ასეთია: ამ გზის არჩევა იმის ნიშანი და მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში დაცემულია ზნეობა, სულიერება და არავინ არ ზრუნავს და ფიქრობს მისი ამაღლებისათვის! ნუთუ ჩვენი ცხოვრების, სიცოცხლის საბოლოო და მთავარი მიზანი მხოლოდ უთვალავი დოლარის ფრიალი, მუთაქის თუ ბიუჯეტის გავსებაა და მეტი არაფერი? რომ დოვლათს, ხვავს და ბარაქას თან არ უნდა სდევდეს (უფრო სწორად, მას განსაზღვრავდეს) თითოეული ჩვენგანის სულიერი ამაღლება, კულტურული, ზნეობრივი ყოფა-ცხოვრების წესის დამკვიდრება და მისით ტკბობა?! სიტყვა „დამკვიდრება“ ვიხმარე. ახლის დამკვიდრებაც კარგია, მაგრამ განა ჩვენს ერს ოდითგანვე არა აქვს დამკვიდრებული (ერთ-ერთი უძველესი კულტურის და ცივილიზაციის ერს მთელ მსოფლიოში) მთელი რიგი ტრადიციები და წესჩვეულებები? განა ამ ტრადიციებს არ უნდა ვუერთგულოთ და განა ეს არ არის ჩვენი სიმდიდრე? რატომ ვივიწყებთ რუსთაველის შეგონებას: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“!

ამავე დროს (და ამ მხრივ ვეთანხმები მრავლის აზრს) ზემოთ ნახსენები მთავრობის მიერ არჩეული ეს „სატანური გზა“ თავსმოხვეულია „გარედან“ — ამერიკა-ევროკავშირის ქვეყნებიდან მთელ მსოფლიოში ექსპანსირებული ახალი ზნეობის, „ახალი რელიგიის“ გამავრცელებლებისგან, სამწუხაროდ, მათ ყირაზე დააყენეს კაცობრიობის მიერ აქამდე მოტანილი მორალი და სიყვარული ავადმყოფობად გამოაცხადეს, მამათმავლობა და ლესბოსელობა — ბუნებრივ მოვლენად და ადამიანის პიროვნული თავისუფლების გამოხატულებად, ნარკოტიკების მოხმარება — „პიროვნულ“, ჩაკეტილ სივრცეში დასაშვებად...

მოკლედ, — ადამიანის ნება ლამის ცხოველურ ქცევას გაუთანაბრეს.

რა არის ეს, თუ არა დედამიწაზე მეორედ მოსვლის დასაწყისი სულიერების სფეროში?

მეტისმეტი ზოგადი საუბარი რომ არ გამოვიდეს, ერთ მაგალითს მოგახსენებთ ქართული სინამდვილიდან;

დიდი ხნის წინათ დასაჭერმა ზურაბ ჯაფარიძემ, რომელმაც მარიხუანის დამკვიდრებაში „კონსტიტუციურად“ ბევრრამეს მიაღწია თავისი „გირჩით“ და „თეთრი ხმაურის“ „მოღვაწეობით“, ასეთი ვერაგული გეგმაც განახორციელა: 6 000 ჯარში გასაწვევი ახალგაზრდებიდან 4 000-ს სახელდახელო ცნობა „გაუშანშალა“, რომ ისინი საეკლესიო „მოღვაწეები“ არიან. ეკლესიაში მოღვაწე პირები კი საქართველოს კანონმდებლობით, ჯარში არ მიჰყავთ! ახალგაზრდების, კერძოდ, მამაკაცად დაბადებული და ამ ქვეყანას მოვლენილი ვითომ „ვაჟკაცების“ ამაზე მეტი დემორალიზაცია და ამაზე მეტად სულიერი დაცემა განა კიდევ შეიძლება? მთავრობამაც მხოლოდ „პირი დააღო“, ამ „მტკიცე კანონს“ ვერაფერი მოუხერხა და ეს 4 000 ახალგაზრდა აღარ გაიწვიეს ჯარში! არ არის ეს სამშობლოს ღალატი?!

თვითონ ამ ახალგაზრდებისა გამკვირვებია; **რამ დაგადედლათ, რამ გაგაძალაჩუნათ ისე, რომ ჯარში სამსახურს თავს არიდებთ? საქართველოში ოდითგანვე ვაჟკაცობის კულტი იყო გაბატონებული, მართლმადიდებლობასთან ერთად „ვაჟკაცობის რჯული“ არსებობდა და ჩვენი წინაპრების ვაჟკაცობამ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა. თქვენ კი რა გემართებათ? ისრაელში გოგონებიც მიდიან ჯარში (!) თქვენ კი ასე რამ „დაგაჩმორათ“ და გაგაუკუღმართათ? მე ვიცი ამის მიზეზები: სატანისტების მოწოდებებს ემორჩილებით, ლგბტ დროშებს აფრიალებთ, ნარკოტიკებით გაბრუებულხართ, ფიზიკური შრომის ფასი არ იცით და უმრავლესობა „მამიკოების“ ფულებით ნებივრობთ.**

„შეჩვენებული“ კომუნისტების დროს ჯარში თავისამრიდებელ ახალგაზრდებს პასუხისმგებლობაში აძლევდნენ. ეს კანონი თუ არ მობრუნდა, არაფერი გვეშველება! უმცროსმა ავტობუსში დაუძლურებულ მოხუცს თუ ადგილი არ დაუთმო (როგორც ადრე იყო), არაფერი გვეშველება. სკოლაში თუ ოჯახში ზნეობრივ აღზრდას და სულიერების ამაღლების მრავალნაირი გზები თუ არ მოვძებნეთ, არაფერი გვეშველება!..

მთავრობა ნარკოტიკების რეალიზაციის პროექტებს კი არ უნდა ადგენდეს, ახალგაზრდების (და მთელი მოსახლეობის) ზნეობრივი აღზრდის და სულიერი ამაღლების გზებს უნდა სახავდეს. მასობრივად და პრიორიტეტულად ამაში უნდა აბანდებდნენ დიდძალ თანხებს. განა საოცარი არ არის, რომ საქართველოს ბიუჯეტში მწერლობის, შემოქმედებითი კავშირის განვითარებისთვის ერთი თეთრიც არ არის გამოყოფილი?! ეს კი მაშინ მოხდება, როცა ჩვენი ცნობიერება, მენტალიტეტი შეიცვლება კარგი, ჯანსაღი მიმართულებით.

ჩვენი მცირერიცხოვანი ერი არ უნდა ჩაიძიროს გახრწნილობის იმ მორევში, რომელიც მდიდარი და მრავალმილიონიანი სახელმწიფოების 30 ვერცხლად მოსყიდულ პროპაგანდიდან მოედინება.

უშანგი ჯანგირაშვილი

P. S. ძირითადად მოსაწონი იყო ჩვენი პრემიერის მამუკა ბახტაძის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე, თუმცა ნარკოტიკებთან ბრძოლაზე მასში არაფერი იყო ნათქვამი, ან კი რა იყო სათქმელი?! სამაგიეროდ, ამავე ტრიბუნიდან ამ თემაზე განგაშის ზარები დაარისხა ტრამპმა და მსოფლიოს ქვეყნებს მოუწოდა გაერთიანება ამ ჭირის წინააღმდეგ. 100-ზე მეტი ქვეყნის მეთაურმა მოაწერა ხელი ნარკომაფიასთან ბრძოლას. საბედნიეროდ, ამ ხელმომწერთა შორის ჩვენი პრემიერიც არის და ამ მიმართულებით ბევრი რამ უნდა შეიცვალოს ჩვენს ქვეყანაში.

უ. ჯ.

ნაციონალების ნახევარი კანაფს ეწეოდა...

„იდეებისგან სრულიად დაცლილმა და დაღმართზე ტემპაკრეფილმა პარტიამ კანაფის თემით გადაწყვიტა პოლიტიკური დივიდენდების მოპოვება და საპატრიარქოსთან ჩახუტება“, — ასე ეხმაურება „გირჩის“ პრეზიდენტობის კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს.

„ენმ-ის პოლიტსაბჭოს ნახევართან ერთად მაქვს მოწეული, თან არაერთხელ. მათ შორის, იმათთანაც, ვინც დღეს ყველაზე აქტიურად ითხოვს „მომავალი თაობის გადარჩენას“ კანაფისგან. იმ 2 წლის განმავლობაში, როცა მაგ პარტიაში ვიყავი, არაერთი პოლიტსაბჭოს წევრი გვთხოვდა მოსაწევს, თითქმის რეგულარულად. რამდენიმე წევრი სახლში ზრდიდა და, სავარაუდოდ, დღესაც ზრდის კანაფს პირადი მოხმარებისთვის. ეგეთი ხალხია — ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვის მზად არიან, საკუთარი პრეზიდენტობის კანდიდატის მხრიდან „პედოფილის“ დაძახება აიტანონ, მერე ძმაკაცებთან ერთად მოწიონ და იბაზრონ კაცობაზე, ძმობაზე და გაგებაზე“, — წერს ჯაფარიძე.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის საერთო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ კანაფის მომხმარებლები პედოფილებს შეადარა.

გალა იმდენადვე მშვენიერია, რამდენადაც რაფაელის ტილოთა ბინადარნი.

დალი თავისი ცოლისა და მუზის – გალას თაობაზე

გალა... ამ ქალის ხატება დალის უამრავი ტილოს დიდ უმრავლესობაში გვხვდება. გალა მხატვრის სიყვარული და ერთადერთი ნამდვილი მეგობარი იყო, ის იყო აგრეთვე დალის კომერციული დირექტორი, ყოვლის უფრო მკაცრი კრიტიკოსი და გზის მანათობელი ვარსკვლავი.

დალის, როგორც მხატვრულ ამბიციურ პიროვნებას, საქმიანი მარიფათი, ფხიანობა აკლდა. ამიტომ გალა განაგებდა მხატვრის „მიწიერ საქმეებს“, რამაც დიდად შეუწყო ხელი, რომ დალი მხატვრული სამყაროს ოლიმპზე მოქცეულიყო.

დალის მემუარები გამსჭვალულია გალას მიმართ სიყვარულით და სინაზით, გალა იყო მხატვრის სამყაროს ცენტრი, მამოძრავებელი ძალა, ხოლო როს გარდაიცვალა, დიდი მხატვრის გენიაც მიქრა, დანელდა.

* * *

უკეთუ მე ხანდახან თუ გამომდის ზოგიერთი უახლოესი მოვლენის წინასწარმეტყველება, სამაგიეროდ, გალა უტყუარი მედიუმია ამ სიტყვის მეცნიერული აზრით, არცროდის არა ცდება და ბანქოთი გასაოცრად იშვიათი სიზუსტით მკითხაობს.

* * *

ჩემი ზეადამიანი რომ გამხდარიყო, სულაც ქალს კი არა, ზექალს ეწერა, სახელად გალას.

* * *

დღეს თქვენთვის იმის თქმა შემიძლია, რომ სუყოველი ჩემი რწმენიდან მხოლოდ ორის ახსნაა შეუძლებელი ძალაუფლების, ანუ ყოველსავე მიმართ თავისუფალი მოქმედება უბრალო, მარტივი ნებით: პირველია 1949 წელს ჩემ მიერ შეძენილი ღვთის რწმენა, ხოლო მეორეა – იმის მტკიცე რწმენა, გულდაჯერებულობა, რომ გალა იქნებოდა ყოველთვის ყველაფერში უფლებამოსილი, რაც კი რამ ჩემს მომავალს შეეხებოდა.

* * *

გალას ჰქონდა იმის ნიჭი და უნარი, რომ სადაც კი დაბინავება მოგვიწევდა, ყოველსავე ებრწყინა.

* * *

ჩემი ზეგავლენის მუღამი ის არის, რომ ეს ზეგავლენა მუდამ საიდუმლო იყო. გალას ზეგავლენის მუღამი კი, თავის მხრივ, ის არის, რომ ორმაგად იყო საიდუმლო.

* * *

მარტომ მიაღწიო და გამოხატო ცხოვრების აზრი, იმას ნიშნავს, რომ აღორძინების უდიდეს ტიტანთ გაუთანასწორდე. ასეთია ჩემი ცოლი გალა, რომელიც ჩემდა საბედნიეროდ შევიძინე. წამიერ-წუთიერი მოძრაობა, სუყოველი ჟესტი, გამომეტყველება იგივეა, რაც ახალი სიმფონია: წარმოაჩენს სრულქმნილი სულის აღნაგურ გარემოხაზულობას, რაც ყალიბდება თვით სხეულის ბარაქიანობაში, კანის სურნელებაში, იმისავე სიცოცხლის მბრწყინავ ზღვის ქაფში, გამოხატავს რა გრძნობათა ნატიფ სუნთქვას, პლასტიკა და გამომხატველობა ხორციელდება ხორცისა და სისხლის უზადო ხუროთმოძღვრებაში.

* * *

საათობით რომ ვიჯექი მოლბერტის წინ, და მალულად ვტკბებოდი რა იმის ცქერით, ჩემს თავსვე ვეუბნებოდი, რომ იგი ისეთივე ლამაზი და მშვენიერი ტილო იყო, როგორიც ვერმეერის და რაფაელის ნამუშევრებია. ეს მაშინ, როცა სხვა სურათები, ჩვენ გარშემო იმდენად ბოლომდის სრულად დაუხვეწავი და საშუალო დონისანი ჩანან, რომ უფრო მეტად მახინჯ კარიკატურებს გვაგონებენ, კაფეს ტერასაზე ჰაიჰარად გაფერადებულთ მშიერი მხატვრის მიერ.

* * *

სახის ტანჯული სილამაზის თვინიერ, გალაში კიდევ არცთუ ცოტა სიკოხტავე იმალებოდა, ვუცქეროდი იმის წერწეტ ტანს, გამარჯვებულის ხაზგასმულ სიარულს და რამდენადმე ესთეტიკური იუმორით ვეუბნებოდი ჩემს თავს: „გამარჯვებასაც შეიძლება რომ ჰქონდეს ცუდი განწყობილებით დაღონებული სახე. ამიტომ არ უნდა შეეხო“.

* * *

მან ჩემში ნახევრად გიჟი გენიოსი შეიცნო, რომელსაც დიდი შემართების უნარი აქვს. და ვინაიდან იგი თავის მითს ქმნიდა, იმის ფიქრი დაიწყო, რომ ერთადერთი მე ვიყავი, ვისაც ხელის აპყრობა ძალედვა იმისი.

* * *

გალამ მიხსნა ჩემი დანაშაულისგან და მომირჩინა სიშლეგე. მადლობელი ვარ! სულ მეყვარები.

* * *

ასე ამბობდა სალვადორ დალი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

ყოვლის უფრო მთავარნი ამქვეყნად გალა და დალი არიან. მერმე მოდის მარტო დალი. მესამე ადგილზეა სუყოველი დანარჩენი, რა თქმა უნდა, ჩვენი, ორისავე ჩათვლით.

* * *

ჩვენი ძალა, გალასი და ჩემი, ის არის, რომ სუფთად ვიცხოვროთ ამ სიმჭიდროვე-სივიწროვეში – არც უნდა გვეწია, არც უნდა გვეჩხვლიტა, არც უნდა ფეხქვეშ გავეგებოდეთ ვისმე – მუდამ მარტონი და ერთად უნდა ვყოფილიყავით, როგორც ეს ჩემს ბავშვობასა და ყრმობაში იყო. ჩვენ არა მარტო მონპარნასის მხატვართგან გვეჭირა თავი ცალკე, არამედ ასევე ვემიჯნებოდით კომუნისტებს, გიჟებსა და ბურჟუას. ჩვენ მუდამ გვერდით ვიდექით, რათა შეგვენარჩუნებინა და დაგვეცვა ჩვენი გონება.

* * *

მალაგას დროიდან მოწაფე ვარ გალასი, რომელმაც მაზიარა კმაყოფილების პრინციპებს, რეალიებს, მან მასწავლა ჩაცმა-დახურვა, კიბეზე ისე ჩასვლა, რომ ოცდათექვსმეტჯერ არ დავცემულიყავი, რომ ფული არ დამკარგოდა, რომ ჭამის დროს ძირს არ დამეყარა ქათმის ძვლები და გამერჩია, ვინ იყო ჩვენი მტერი. ის ჰარმონიის ანგელოზი იყო, რომლის პროპორციულობამაც აღიარა ჩემი კლასიციზმი. ისე ვიხსენი თავი ტიკთაგან, ანუ სახის კუნთების უნებლიე კრუნჩხვისგან, რომლისგანაც დატანჯული ვიყავი, რომ სახე არ შემშლია. მე მივხვდი ჩემს სუყოველ მოქმედებას.

* * *

გალას არ გავუსასტიკებივარ, როგორც ამას ცხოვრება მიზამდა, მაგრამ ჩემ გარშემო კიბორჩხალა-განდეგილის კეცყავში მომაქცია. ასე რომ, გარედან ციხესიმაგრე ვიყავი, შიგნიდან კი დაბერებას განვაგრძობდი.

* * *

მართალი გითხრათ, კატლეტი ძალიან მიყვარს – ძალიან მიყვარს ჩემი უღელტოლიც; ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავ, რომ ისინი ერთად არ დავხატო.

* * *

ვინ მოსთვლის, რამდენი უძილო ღამე გამიტარებია მხოლოდ იმის გამო, რომ ორი წვეთით მეტი ზეთი დამისხამს, ვიდრე საჭირო იყო! მარტო გალა შესწრებია ჩემს განრისხებას, ჩემს იმედგაცრუებას, არაერთ წუთიერ ხანმოკლე აღტყინებასა და მწუხარების შეტევას. ოდენ მან უწყის, თუ რამდენად იქცა იმ დროს ჩემთვის ფერწერა ცხოვრებისა და გალას კიდევ უფრო მეტად შეყვარების საზარელ მოტივად, რამეთუ იგი იყო რეალობა, პორტრეტი, რომელსაც დავწერდი და ჩემი ქმნილება გახდებოდა.

* * *

* * *

მადლობელი ვარ, გალა! მე ხომ შენი წყალობით გავხდი მხატვარი, თუ არა შენ, ნამდვილად ვერ ვირწმუნებდი ჩემს ნიჭიერებას! მომე ხელი! განა ფიცი და მტკიცი უნდა, რომ დღითი დღე სულ უფრო ძლიერად მიყვარდები...

* * *

რომელიც გნებავთ მხატვარი, რომელიც მსოფლიოსთვის შედევრის ჩუქებაზე ოცნებობს, ჩემი უღელტოლი, ჩემი ოჯახობა უნდა მოიყვანოს ცოლად: არ იგულმავიწყოთ – მხატვრის ცოლს გალა ჰქვია, რამეთუ დიაღაც გალაა უდიდესი დასაბამი, რომლის წყალობითაც იკურნება თქვენი სხეულის სუყოველი სიგიჟე.

* * *

გალა არცრას არა ქმნის, გალა ქმნის ნებას იძლევა – ის ხომ პოზირებს.

დალი სიურრეალიზმის თაობაზე

სიურრეალიზმზე როს ვლაპარაკობთ, სუყოველი ადამიანი არაცნობიერად წარმოიდგენს უწინარესად სალვადორ დალის. თავად მხატვარი თავის თავს მიიჩნევდა სიურრეალიზმის ეტალონად და ერთადერთ წარმომადგენლად. დალის აზრით, დანარჩენ მხატვრებს სიურრეალიზმის არსის გაგებისა და შეცნობის უნარი არა ჰქონდათ და მით უფრო არ შეესატყვისებოდნენ თვით სალვადორ დალის. სწორედ ამიტომ დალის სუყოველი გამონათქვამი სიურრეალიზმზე, უპირველეს ყოვლისა, თვითონ თავის თავზეა გამოთქმული.

* * *

სიურრეალისტური საგანი უნდა იყვეს სრულად უსარგებლო არაერთი თვალსაზრისით როგორც პრაქტიკულად, ისე რაციონალურად.

* * *

ერთხელ პარიზის შუაგულში 1900 წლის მეტროს შესასვლელი შევამჩნიე, რომელსაც, საუბედუროდ, მოშლას უპირებდნენ, რათა საშინლად უსახური ნაგებობით შეეცვალათ. ფოტოგრაფმა ბრასაიმ ამ რამდენიმე პატარა ანტრეს დეკორატიულ ორნამენტთა სურათების მთელი სერია გადაიღო – არცვინ თვალებს არ დაუჯერა, „მოდერნის სტილი“ იმდენად სიურრეალისტური აღმოჩნდა.

* * *

თუ გნებავთ, პურისგან სიურრეალისტურ საგანს შევქმნი. იმაზე ადვილი რა არის, რომ პური ზემოდან ორ ადგილას ზუსტად ჩავაჭუჭრუტანოთ და ორივეში სამელნეები ჩავაწყოთ! რა შეიძლება რომ იმაზე უფრო შემბღალველიც და მშვენიერიც რამე იყვეს, ვიდრე იმის ხილვაა, თუ როგორ იუღინთება პური თანდათან ვარხვის მელნით? ამ პურში, რომელშიც ორი სამელნეა ამოღრუტნული, ფრთის ჩასადებად პატარა კვადრატია. ხოლო ფრთის გაწმენდა თუ გვინდა, საკმაოდ ხელს მომყოლი ახალი პურის გულით პურის ყოველ დილით შეცვლას რა უნდა.

(გაგრძელება იძნება)

ამქვეყნად, დედამიწის ზურგზე მხოლოდ ჩვენ, გალა და მე, ვართ შემოსილნი, შეფუთნულნი მითური ლეგენდით, რომელიც მარადიული და მორჩმული იძნება, მე ისე მიყვარს ორივე, ანუ ჩვენი თავი, რომ...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №196-200

მუხრანელი გოლიათი ნიკო ბური

მეოთხედ გამოიცა ნიკო ბაგრატიონ-მუხრანელის მოგონებანი „ბურებთან“

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ რედაქციაში გვესტუმრა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი რუსეთის ფედერაციაში **ტონდორ დე ლა რეი**. ასეთი აღმატებული სტუმრები მაშინ ხშირად გვყავდა და ამაში განსაკუთრებით დასახსომებელი არაფერი იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა: ბატონი ტონდორი ინგლის-ბურების ომის (1899-1902 წ.წ.) ერთ-ერთი გამოჩენილი გენერლის **დე ლა რეის** შვილიშვილი აღმოჩნდა, იმ მეთაურისა, რომლის რაზმშიც იბრძოდა მოხალისე ქართველი ჯარისკაცი **ნიკო ბაგრატიონ-მუხრანელი (ბური)**.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ბურები (აფრიკანდერები) XVII ს. ჰოლანდიელ მოახალშენეთა, აგრეთვე ფრანგ და გერმანელ კოლონისტთა შთამომავლები არიან. ცხოვრობენ უმთავრესად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პროვინციებში (ტრანსვაალი, კაპი, ორანჟის რესპუბლიკა), მათი საერთო რაოდენობა 2,5 მილიონამდე კაცია.



ნიკო ბური ქალიშვილებთან ერთად.

ახალდანიშნულმა ელჩმა შემთხვევით ისარგებლა და თავისი პაპის სახელოვანი თანამებრძოლის სამშობლო მოინახულა. მან გვაცნობა, რომ იოჰანესბურგში მზადდებოდა წიგნი ინგლის-ბურების ომის მონაწილე ევროპელი მოხალისეების შესახებ და შეგვპირდა, როგორც კი გამოიცემა, გამოგიგზავნითო. პირობა შეასრულა: რამდენიმე თვის შემდეგ წიგნი მივიღეთ. იგი ინგლისურ ენაზე დიდებულად იყო გამოცემული და უხვად ილუსტრირებული. ნიკო ბაგრატიონს მთელი თავი ეთმობოდა.

სამწუხაროდ, ეს წიგნი 2007 წლის 10 აგვისტოს გამომცემლობა „სამშობლოდან“ სააკაშვილის მოღალატე ხელისუფლების მიერ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და სხვა რედაქციათა ძალადური გამოყრისას დაიკარგა.

ბატონი ელჩი სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა, რომ მასპინძლებმა საკმაოდ კარგად ვიცოდით საუკუნის წინათ ინგლისელებთან ბურების თავგანწირული ბრძოლის ამბავი. ამაში მოულოდნელი არაფერი იყო: წაკითხული გვქონდა იმ ომის მოხალისე მონაწილის ნიკო ბაგრატიონის მოგონებათა პოპულარული წიგნი „ბურებთან“.

სხვათა შორის, ამ წიგნის გამოცემის ამბავიც ერთობ საინტერესოა: დიდი სამამულო ომის შემდეგ ნიკო ბაგრატიონის მეუღლემ ანა ბუჭყიაშვილმა შეკრიბა გარდაცვლილი ქმრის ჩანაწერები, ზეპირი მოგონებები და ლიტერატურულად დაამუშავა, სტალინს სთხოვა მისი გამოქვეყნება და წერილთან ერთად ხავერდის ყდაში ჩასმული ტექსტი აახლა, იმედი არავის ჰქონდა, მაგრამ 1950 წელს ქალბატონმა ანამ მოულოდნელად შეტყობინება მიიღო, თბილისში „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში მ.ი. ზლატკინს მიმართეთო. წიგნი სასწრაფოდ თარგმნეს ქართულად (თარგმნა და კომენტარები დაურთო მწერალმა რაჟდენ გვეტაძემ, წინასიტყვაობა დაწერა მწერალმა გიორგი ნატროშვილმა). წიგნი უმალ დაიტაცეს. 1952 წელს იგი ხელმეორედ გამოიცა.

ნიკო ბური (1868-1933 წ.წ.) საოცარი ბედისა იყო. ეს ახოვანი (2 მ.10 სმ), მძლავრი ვაჟკაცი ქართლის ბაგრატიონთა — მუხრანბატონთა შტოს ეკუთვნოდა, იყო მეფე პოეტის არჩილის შთამომავალი. დაიბადა და აღიზარდა მუხრანში, ძველი ფეოდალის პატრიარქალურ ოჯახში. მემუარისტი აღგვიწერს ბავშვობისა და სიყრმის წლებს და ჩვენ თვალწინ იშლება ფეოდალური არისტოკრატიის ყოფაცხოვრების რღვევისა და დაკნინების მკაფიო სურათი.

1899 წელს ნიკო პეტერბურგს გაემგზავრა, იქიდან — პარიზში, შემდეგ მარსელზე გავლით ალექსანდრიაში (ეგვიპტე) ჩავიდა, აფრიკაში ლომებზე სანადიროდ. იქ შეიტყო, რომ ინგლისის იმპერია თავს დაესხა ერთი ბეწო ბურებს და გადაწყვიტა, იარაღი აეღო მათ დასაცავად. იგი უმალ გაემგზავრა ტრანსვაალში. გაეცნო პრეზიდენტ პაულუს კრიუგერს, სარდლებს ჟუბერს, ბოტას, დე ლა რეის... მამაცურად იბრძოდა. ერთ-ერთი შეტაკების დროს ინგლისელებმა დაატყვევეს და დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ როგორც საქართველოს სამეფო გვარის შთამომავალს, დახვრეტა წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებით შეუცვალეს. რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ ჯერ საფრანგეთში დაბრუნდა, შემდეგ — სამშობლოში. დაქორწინდა გენერალ ალექსანდრე ბუჭყიაშვილის ასულ ანაზე. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში პრაპორშჩიკის ჩინით. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ერთობ შეჭირვებაში ცხოვრობდა. გარდაიცვალა თბილისში 1933 წელს, ფილტვების ანთებით. დატოვა საინტერესო ჩანაწერები.

ნიკო ბურის მოგონებათა მესამე გამოცემა 1990 წელს იშვა. მასში მოტანილია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის აფრიკის ისტორიის სექტორის გამგის, პროფესორ აპოლონ დავიდსონის საყურადღებო ნარკვევი: „ნიკო ბაგრატიონის წიგნი — „ბურებთან“.



ახლახან კი მკითხველმა მიიღო მეოთხე გამოცემა, რომლის რედაქტორ-შემდგენელია ნიკოს ძმის დავითის შვილიშვილი (დავითის ვაჟის ლეონიდეს ქალიშვილი), ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე **ია ბაგრატიონ-მუხრანელი**.

წიგნი უხვად არის ილუსტრირებული უნიკალური ფოტოებით. ერთვის 1952 წლის გამოცემის გიორგი ნატროშვილისეული წინასიტყვაობა და მთარგმნელის რაჟდენ გვეტაძის შესავალი წერილი და 1990 წლის მესამე გამოცემის თანმხლები ია ბაგრატიონ-მუხრანელისა და თეიმურაზ (ნიკა) ჩიკვაიძე-ბაგრატიონის (ნიკო ბურის შვილიშვილის) ვრცელი განმარტება.

აქვეა მოულოდნელი სიახლე: დაბეჭდილია (ქართულად და ინგლისურად) ია ბაგრატიონ-მუხრანელის ორმოქმედებიანი ისტორიული დრამა „საფეხურები ზეცაში (ქართველი რაინდის ბედისწერის ზიგზაგები)“. იგი ნიკო ბურის ფერადოვანი, მდიდარი ცხოვრების დრამატურგიული, უაღრესად საინტერესო, ორიგინალური წარმოჩენაა.

იმედია, ჩვენი თეატრალური მოღვაწენი დაინტერესდებიან ამ პიესით და სცენაზე აამეტყველებენ მას.

ალეკო ასლანიშვილი

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს ტურისტული სტენდით არის წარმოდგენილი. პავილიონი გურმე გალერში განთავსდა.

ადმინისტრაციის სტენდზე 360-გრადუსიანი ვიზუალიზიცია დამთვალიერებლებს საშუალებას აძლევს, ვირტუალურად იმოგზაურონ საქართველოში. სტენდზე განთავსდა ადმინისტრაციის საპრომოციო მასალა და ახალი ტურისტული გზამკვლევი. გამოფენას ესწრება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე.

მსოფლიოში უდიდეს წიგნის ბაზრობაზე, The Frankfurt Book Fair-ზე საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობს, რაც უდიდესი წარმატებაა მთელი ქვეყნისთვის. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას მარტო გასულ წელს 100-ზე მეტი ქვეყნის 7 ათასზე მეტი მონაწილე ჰყავდა, ვიზიტორების რაოდენობა კი 290 ათასამდე იყო. ასეთ მასშტაბურ გამოფენაზე საქართველოს წარმოდგენას უდიდესი კულტურული მნიშვნელობა აქვს, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული ნაკადების გაზრდას და უმდიდრესი კულტურის მქონე სახელმწიფოს წარმოჩინებას საერთაშორისო ბაზარზე.

სიღნაღში 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდება

საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის ფარგლებში სიღნაღში 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდება, რომელიც საერთაშორისო და ადგილობრივ სტუმრებს შესანიშნავი ხედებით უმასპინძლებს.

130-ნომრიან სასტუმროში თავმოყრილი იქნება სპა და ფიტნეს ცენტრები, ღია და გარე აუზი, ღვინის ბარი, მარანი, მაღალი კლასის რესტორანი, ლაუნჯ ბარი 360-გრადუსიანი ხედით და მასშტაბური საკონფერენციო დარბაზი. აღნიშნული პროექტი 50,000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსდება, ხოლო მისი საერთო სამშენებლო ფართი 14,000 კვ.მ-ია. ამჟამად სასტუმრო მშენებლობის აქტიურ ფაზაშია და 2020 წლიდან დამსვენებლების გამასპინძლებას შეძლებს. დღეის მდგომარეობით, პროექტის საინვესტიციო მოცულობა 21 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ 2016 წლის ოქტომბერში საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ინიციატივით ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული საინვესტიციო პროექტებისთვის შეიქმნა საქართველოს ტუ-

რიზმის განვითარების ფონდი, რომლის მიზანია სტრატეგიული მნიშვნელობის ტურისტული პროექტების მხარდაჭერა, ტურისტების მოზიდვა და საქართველოს დამკვიდრება მსოფლიო ტურიზმის რუკაზე.

ამჟამად საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის საინვესტიციო პორტფელში ათი პროექტი ერთიანდება, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 600 მლნ ამერიკულ დოლარს აჭარბებს. პროექტები ვითარდება ქ. თბილისში, კახეთში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთში. ათივე პროექტი განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა და დღეის მდგომარეობით მათში ჯამურად უკვე ინვესტირებულია 218 მლნ აშშ დოლარზე მეტი. ამ მასშტაბური პროექტების ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე ჯამურად დასაქმდება 10,000 ადამიანზე მეტი, ხოლო კომპლექსების ამოქმედების შემდეგ მუდმივად დასაქმებულთა რიცხვი 2,500-ს გაუტოლდება.

ქუთაისსა და ავსტრიას შორის საჰაერო მიმოსვლა იწყება

11 ოქტომბერს ქუთაისსა და ავსტრიას შორის ავიამიმოსვლა დაიწყება. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დაბალბიუჯეტიანი უნგრული ავიაკომპანია Wizz air ქუთაისიდან ვენის მიმართულებით პირველ რეგულარულ რეისს შეასრულებს.

პირველი რეისი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ვენის მიმართულებით 07:25 წუთზე შესრულდება. რეგულარული ფრენები კი კვირაში ორჯერ: ხუთშაბათსა და კვირას განხორციელდება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, ავსტრია რიგით მე-15 ქვეყანა და 21-ე მიმართულებაა, სადაც ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან პირდაპირი ფრენები სრულდება.

„გრძელდება ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტის განვითარება. ქუთაისის აეროპორტმა ამიერკავკასიის საავიაციო ბაზარზე თავისი ნიშა დაიმკვიდრა. აეროპორტს დაემატა ახალი სერვისები, გაიზარდა დამატებით კომერციული ფართებისა და კვების ობიექტების რაოდენობა, საგრძნობლად გაიზარდა მგზავრთნაკადი. „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ მუდმივად მუშაობს ახალ ავიამიმართულებებზე“, — აცხადებენ „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებაში. 11 ოქტომბერს 15:00 საათზე ვენიდან ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში პირველი თვითმფრინავი დაეშვება. საინაუგურაციო რეისთან დაკავშირებით დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში საზეიმო დახვედრა გაიმართება.



აფხაზეთი - ადგილი, სადაც ადრე სამოთხე იყო, დღეს სულთა სამეფოს ჰგავს...

„აფხაზეთში ჩასვლისას თავს ისე გრძნობ, თითქოს საბჭოთა კურორტზე მოხვდი“, — ასე იწყება პოლონური გამოცემის, „Tygodnik Powszechny“-ს მიერ გამოქვეყნებული ვრცელი სტატია, რომელშიც აფხაზეთში ამჟამად არსებული სიტუაციაა ასახული.

საინფორმაციო პორტალი region.ge გთავაზობთ დროთი ხრობაკის ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:

„სოჭი-ფსოუ-სოხუმის ავტოგზა E97 ერთადერთი საერთაშორისო მაგისტრალია, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის, შავი ზღვის პირას მდებარე აფხაზეთზე გადის. ამ გზაზე ერთი თვის წინათ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გენადი გაგულია ავარიაში დაიღუპა. ხმები გავრცელდა, თითქოსდა ავარია რუსეთის სპეცსამსახურებმა მოაწყეს და მათ უკან ვლადიმერ პუტინი დგასო. საერთოდ, კავკასიაში არაფერი არაა გამორიცხული, მაგრამ სიმართლეს ამ შემთხვევაში უფრო პროზაული ხასიათი აქვს: გზების მდგომარეობა და გზებზე მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც აფხაზებს ვერ გადააჩვევ. მაქსიმალური სისწრაფე და შუა გზაზე ძროხები. პარადოქსია, ხომ? ტაქსისტი, რომელიც საქონელს შორის ლავირებს, მიხსნის, რომ ძროხები ასფალტზე თურმე ბუზების მოგერიების მიზნით გამოდიან — სწრაფად მიმავალი ავტომანქანით გამოწვეული ჰაერის მოძრაობა ცხოველებს ბუზებს უფრთხობს! აქ თურმე ძროხებთან შეჯახება ყოველდღიური მოვლენაა.

გენადი გაგულია სირიიდან ბრუნდებოდა — იმ ქვეყნიდან, რომელმაც ცოტა ხნის წინათ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა. პრემიერის დაღუპვა 1992-1993 წლებში მომხდარი ქართულ-აფხაზური ომის დასრულების 25 წლისთავის ერთ-ერთი შტრიხი გახდა. მკითხველს შევახსენებ: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს შემადგენლობაში არსებული აფხაზეთის სტატუსი გაურკვეველი გახდა. თბილისსა და სოხუმს შორის ჯერ დიპლომატიური კონფლიქტი დაიწყო (აფხაზებმა ავტონომიის გაფართოება მოითხოვეს, ქართველებმა კი უარი უთხრეს), რომელიც მოგვიანებით სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდა. აფხაზეთს დახმარება რუსეთმა გაუწია: საომარი მოქმედებები საქართველოს დამარცხებით დასრულდა. დღეს სეპარატისტული რესპუბლიკის სტატუსს შეიძლება ასე ეწოდოს: „რუსეთის არაფორმალური პროტექტორატი“. მთელი მსოფლიოსთვის (რუსეთის, ნიკარაგუის, ვენესუელის, ნაურუს და სირიის გამოკლებით) აფხაზეთი საქართველოს ნაწილს წარმოადგენს, თუმცა თბილისმა მასზე კონტროლი 1993 წლის 30 სექტემბერს დაკარგა.

საბოლოო ჯამში უცნაური სიტუაცია შეიქმნა: **აფხაზეთში რომ შეხვიდე, პროცედურის 4 ეტაპი უნდა გაიარო — ჯერ ანკეტა უნდა შეავსო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიტზე, შემდეგ ელფოსტით ნებართვა უნდა მიიღო, საზღვარზე უნდა გადახვიდე და ბოლოს სოხუმში არსებულ რუსეთის საკონსულოში ვიზა უნდა მიიღო. მთავარი გამოცდა საზღვარზე გადასვლაა — ხანგრძლივი ლოდინი ორივე მხარეს, ბარგის შემოწმება და რუსი სამხედროების მკაცრი საუბარი. სტანდარტული კითხვების შემდეგ არასასიამოვნო ცნობისმოყვარეობა: „ჯარში იმსახურე? პოლიციაში ნათესავები თუ მუშაობენ? სამსახურის ზუსტი მისამართი და დამსაქმებლის ვინაობა...“.** როგორც ამბობენ, ზოგიერთ ტურისტს უკან აბრუნებენ და მიზეზს არც უხსნიან.

საერთოდ, აფხაზეთის სტუმრები აბსურდული სინამდვილის წინაშე დგებიან. სახმელეთოს გარდა, აფხაზეთში თეორიულად საჰაერო გზითაც შეიძლება ჩასვლა. სირიიდან წამოსულ გენადი გაგულიას შეეძლო სოჭში, ადლერის აეროპორტში კი არ დაშვებულიყო თვითმფრინავით, არამედ პირდაპირ სოხუმის აეროპორტში... მაგრამ პრაქტიკაში ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან სოხუმის აეროპორტი საერთაშორისო რეისებს არ ემსახურება და ის ავიაკომპანია, რომელიც ამ აკრძალვას დაარღვევს, მას სანქციები ემუქრება. იგივე სიტუაციაა საზღვაო ნავსადგურის მიმართაც. ბლოკადაშია აფხაზეთის ფოსტა... სამაგიეროდ, მუშაობს ინტერნეტი.

არადა, იყო დრო, როცა აფხაზეთი ტურისტებისთვის სამოთხეს წარმოადგენდა (დღეს აც შეიძლებოდა ყოფილიყო). შემთხვევითი არაა, რომ პატარა აფხაზეთში, რომლის ტერიტორია ოთხჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ჩვენი მაზოვეცკის სავოევოდოს ფართობი, იოსებ სტალინის ოთხი აგარაკი იყო — სოხუმში, ახალ ათონში, გაგრაში და რიწის ტბაზე. კავკასის ბუმბერაზი მთები ზღვასთან ისე ახლოსაა, რომ მისი ხილვით ადამიანს პირდაპირ სუნთქვა შეეკვრება აღტაცებისაგან. გარდა ამისა, აფხაზეთში მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე ღრმა კარსტული მღვიმეები... დღეს კი აქ მოგზაურობა უპირველეს ყოვლისა, დროში მოგზაურობას ჰგავს — 1980-იანი წლების კურორტზე, სეზონის შემდგომ.

აფხაზეთში თითქმის ყველაფერი ომთან არის დაკავშირებული: „იცით, ჩვენთან ომი იყო“, —ამბობენ აფხაზები დანგრეულ შენობებთან დაკავშირებით. ომი მეოთხედი საუკუნის წინათ დასრულდა, მაგრამ მისი შედეგებისგან დამალვა შეუძლებელია. თითქმის ყოველ ქალაქსა თუ სოფელში ომში დაღუპულების მემორიალი არსებობს. სოხუმის შედარებით ახალ მიკრორაიონში დაღუპულთა მემორიალურ დაფებს პირდაპირ მრავალსართულიან კორპუსთა კედელზე ნახავთ. ბევრგან ჭურვის კვალს შეამჩნევთ... ადრე აფხაზეთში 550 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ახლა 240 ათასია დარჩენილი. ადგილი, რომელიც ყოველმა მეორე მცხოვრებმა დატოვა (უმეტესად ქართველებმა), დღეს სულთა ქვეყანას გვაგონებს — ასეთი შთაბეჭდილება რჩება ოჩამჩირესა და ტყვარჩელთან, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა.

ომის ყველაზე საზარელი სიმბოლოა სოხუმის ცენტრში მდებარე ნახევრად დამწვარი მინისტრთა საბჭოს შენობა, რომელიც გადაწყდა, არ აღდგენილიყო. აფხაზებს უზარმაზარი ნაგებობის გვამთან ერთად ცხოვრება უწევთ. შიგნით შენობა პოსტაპოკალიპტური ფილმის დეკორაციებს გვაგონებს: ჩალეწილი ფანჯრები, დანგრეული კიბეები, ჩაქცეული სახურავი, ნახანძრალი ოთახები...

რუსეთთან ურთიერთობის საკითხი აფხაზებისთვის საკმაოდ საჩოთირო. რუსეთი 58%-ით ავსებს აფხაზეთის ბიუჯეტს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზა მდებარეობს, თავისი მრავალრიცხოვანი ობიექტებით. რუსი სამხედროები, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისთვის ზრუნავენ — ისინი აშენებენ სასტუმროებს და საცხოვრებელ კორპუსებს (გაქირავების მიზნით), ძირითადად გაგრის რაიონში, სოჭთან ახლოს. რუსები აფხაზებს ეხმარებიან, მაგრამ ამას სისტემური დახმარების სახე არ აქვს: რკინიგზის სადგურები ინგრევა, ფაბრიკა-ქარხნები არ მუშაობენ (იქ ჯერ კიდევ შეხვდებით ისეთ ჩარხებს, რომლებთაც იოსებ სტალინი ახსოვთ!). ავტოგზების შეკეთებაზე ლაპარაკი ზედმეტია, შესაბამისად, ავარიაში სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენაა.

რუსი ტურისტების მომსახურება ბევრი აფხაზისთვის არსებობის წყაროს წარმოადგენს. მათი საზრუნავი ოჯახის გამოკვება და შვილების მომავლის უზრუნველყოფაა, რომლებიც სწავლას რუსეთში აგრძელებენ. ყველაზე ამბიციური და შეძლებული ოჯახის შვილები მოსკოვში მიეშურებიან. ისინი კი, ვისაც აფხაზური ჩიხიდან, უბრალოდ, თავის დაღწევა სურს — დონის როსტოვში მიდიან. სამშობლოში უმაღლესი განათლების მიღება და კარიერის გაგრძელება არავის არ უნდა.

სოხუმის ცენტრალურ ნაწილში, ავტოსადგურთან ახლოს, წყალსადენის მილია გამსკდარი და წყალი ქუჩაში მოედინება. სავალი ნაწილი გადათხრილია. ვოლგოგრადელი სტუმარი, რომელიც აფხაზეთში რეგულარულად დადის, მეუბნება: „სამი წლის წინათაც ასე იყო, აქ არაფერი არ იცვლება“. ძნელია მას არ დაეთანხმო: სოხუმში ვერ ნახავთ სამშენებლო ამწეებს (ერთადერთი სასტუმრო მხოლოდ სანაპირო ბულვართან შენდება). მზის ჩასვლის შემდეგ ქალაქი სწრაფად ცარიელდება, ქუჩაში მარტო გასვლა სახიფათოა: ბნელი, უკაცრიელი ქუჩების დანახვისას შიში გიპყრობს. მშვიდად არიან მხოლოდ მინსაბჭოს მიტოვებული შენობის შიგნით ამოსული მცენარეები, რომლებიც ნელა, მაგრამ შეუჩერებლად იზრდებიან“.

REGION.GE

აზერბაიჯანმა იტალიისგან 10 საბრძოლო თვითმფრინავი შეიძინა

აზერბაიჯანმა იტალიისგან 10 სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი M-346 იყიდა და ამავე მოდელის კიდევ 15 თვითმფრინავი შეუკვეთა.

ამის შესახებ აზერბაიჯანული მედია Ridus.ru-ზე დაყრდნობით წერს. M-346 არის პილოტების მომზადებისთვის განკუთვნილი თვითმფრინავი.

M-346-მა პირველი ფრენა 2004 წლის ივლისში განახორციელა. მასზე დამონტაჟებულია ორი ტურბორეაქტიული ძრავა F-124-GA-200, რომელიც აძლევს საშუალებას სიჩქარე 1050 კმ/ს აკრიფოს.

იტალიის სამხედრო საჰაერო ძალებს ასეთი ტიპის 18 თვითმფრინავი გააჩნიათ, სინგაპურს — 12, ისრაელს — 30 და პოლონეთს — 8.

სანყოგში მომხდარი აფეთქების გამო 10 ათასზე მეტი ადამიანია ევაკუირებული

უკრაინაში, ჩერნიგოვის ოლქში, იჩნიას დასახლებულ პუნქტთან მდებარე სამხედრო საწყობში ძლიერი აფეთქება მოხდა. ექსტრემალურმა სამსახურებმა 10 ათასზე მეტი ადამიანის ევაკუაცია მოახდინეს. ევაკუირებულია ასევე იჩნიას საავადმყოფოს პაციენტები.

როგორც ჩერნიგოვის ოლქის სასწრაფო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელმა ვალენტინა ლუცენკომ განაცხადა, მიმდინარეობს მძიმე ავადმყოფების გადაყვანა უსაფრთხო ადგილას.

მისივე ინფორმაციით, ჯერჯერობით ცენტრში დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ შესულა. გარდა ამისა, აფეთქების გამო ჩერნიგოვის ოლქში სახმელეთო ტრანსპორტის, რკინიგზის მიმოსვლა და ავიამიმოსვლაა შეჩერებული. ხანძრის ჩაქრობის მიზნით ოპერატიული შტაბია შექმნილი. ადგილზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვოლოდიმირ გროისმანი მიემგზავრება.

თურქეთს ერაყიდან რაკეტები ესროლეს - არის მსხვერპლი

თურქეთის ჰაკიარის პროვინციის ქალაქ ჩუკურჯას ერაყიდან რაკეტები ესროლეს. თურქული მედიის ინფორმაციით, სროლა ერაყის იმ ნაწილიდან განხორციელდა, რომელსაც ქურთთა მუშათა პარტია აკონტროლებს. რაკეტები გიუვენის მთების მიმართულებით იქნა გაშვებული, სადაც სამხედრო ბაზები მდებარეობს. თავდასხმის შედეგად დაიღუპა 1 ჯარისკაცი, 3 სამხედრომ და 4 სამოქალაქო პირმა კი სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი **(SRAMP)**
კრედიტი/სესხი IBRD 8599-GE
პროექტის No. P149953
დავალების სახელწოდება: "შეფასება, დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგზაო ქსელის კლიმატური მდგრადობისთვის საჭირო ღონისძიებების (სამუშაოების) განსახორციელებლად".
კონტრაქტი/ RFP No: SRAMP/CS/CQS-04

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის". აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (შემდგომში „კონსულტანტები") ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **"შეფასება, დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგზაო ქსელის კლიმატური მდგრადობისთვის საჭირო ღონისძიებების (სამუშაოების) განსახორციელებლად"**.

დავალების მიზანია რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგზაო ქსელის კლიმატური პირობებით გამოწვეული შედეგების მიმართ მდგრადობის გაზრდა.

მსოფლიო ბანკმა **Global Facility for Disaster Reduction and Recovery (GFDRR)**-ის საგრანტო დაფინანსებით ჩაატარა კვლევა და მოამზადა სამუშაო პროგრამა რაჭის ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ქსელისთვის კლიმატური ცვლილებების შედეგებით გამოწვეული პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად. ამ პროგრამის ნაწილი განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით. პროგრამის დარჩენილი ნაწილი განსაზღვრულია განცხორციელდეს და დაფინანსდეს მსოფლიო ბანკის „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის" ფარგლებში.

კონსულტანტის მომსახურების სფერო მოიცავს შემდეგს: გადახედოს ჩატარებულ კვლევას, რომლის სახელია „საქართველოს რაჭის რეგიონის საგზაო ქსელის კლიმატური მდგრადობის გაზრდა" და მოამზადოს პრაქტიკული დეტალური გადაწყვეტილებები განსახორციელებლად. აღნიშნული გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს წყლის ნაკადების გადაკვეთისა და სადრენაჟო სისტემების ჰიდროლოგიურ კვლევასა და მოჭრილ ფერდობებსა და ყრილებში ნიადაგის ფენის გეოლოგიურ კვლევას, რათა განისაზღვროს სტაბილიზაციის მოთხოვნები და შეფასდეს ქვათა ცვენის რისკები.

აღნიშნული მომსახურების ტექნიკური დავალება შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://www.dropbox.com/s/vd5mzjdy43g9t0s/TOR%20fin al.doc?dl=0

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება პროექტის ღონისძიებებთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი.

მოკლე სიაში შეყვანის კრიტერიუმებია:

- **ზოგადი გამოცდილება** - დეტალური დიზაინის მომზადების გამოცდილება;
- **მსგავსი გამოცდილება** - ბოლო 5 წლის განმავლობაში (2013 წელს ან/და მას შემდეგ დასრულებული დავალებები) გზების რეაბილიტაციის, მდინარის ნაპირის გამაგრება, წყალდიდობის, მეწყრული ზონების, ქვათაცვენის და ფერდობის სტაბილიზაციის სამუშაოების დეტალური დიზაინის მომზადების გამოცდილება.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა **180 დღე.**

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის **(IBRD)** სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის **(IDA)** კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში („კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე). ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე: http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057.

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე (CQS მეთოდი) მსოფლიო ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2018 წლის 23 ოქტომბრის 17:00 საათისა.**

სახელი: გიორგი წერეთელი
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი 0160, საქართველო
ელ.ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
Secondary Roads Asset Management Project (SRAMP)
Credit / Loan No. IBRD 8599-GE
Project No. P149953
Assignment Title: ASSESSMENT AND PREPARATION OF DETAILED DESIGN AND BIDDING DOCUMENTS FOR IMPLEMENTATION OF IDENTIFIED CLIMATE RESILIENCE MEASURES FOR RACHA'S SECONDARY ROAD NETWORK
Contract/RFP No: SRAMP/CS/CQS-04

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Secondary Roads Asset Management Project (SRAMP) and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible conslting companies (here and after „Consultants") to express their interest in providing the following services: **"ASSESSMENT AND PREPARATION OF DETAILED DESIGN AND BIDDING DOCUMENTS FOR IMPLEMENTATION OF IDENTIFIED CLIMATE RESILIENCE MEASURES FOR RACHA'S SECONDARY ROAD NETWORK."**

The objective of the services is to increase climate resilience of secondary road network in Racha's region.

The World Bank under the grant from the Global Facility for Disaster Reduction and Recovery (GFDRR) conducted climate change vulnerability assessment and development of a prioritized work program of climate resilience measures for Racha's secondary road network in Georgia. Part of this work program has been already implemented using the state budget. The remaining part of the work program's short-term adaptation measures are to be implemented and financed under SRAMP.

The scope of services of Consultant is to review the climate resilience measures recommended under the report "Technical Assistance to Increase Climate Resilience of Georgia's Road Network in Racha" and develop detailed practical solutions to be implemented. These solutions should be based on the study of hydrology of watercourse crossings and drainage systems, geology of soil strata in cut slope and embankments to identify stabilization requirements and carry out rock fall risks assessment.

The Terms of Reference for these services is available on the following link: https://www.dropbox.com/s/vd5mzjdy43g9t0s/TOR%20fin al.doc?dl=0

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the previously mentioned services. Expressions of interest should cover, but not limited to: **experience relevant to the project activities, company's general staff capacities, corporate profile.**

The shortlisting criteria are:

- General experience – experience in preparation of detailed designs;
- Specific experience - experience in preparation of detailed designs for roads rehabilitation, river bank, flood, rockfall protection and landslide/slope stabilization works within the last 5 years (assignments completed in and/or after 2013).

Estimated duration of assignment is **180 Days.**

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines:* Selection and *Employment* of Consultants/under *IBRD Loans* and *IDA* Credits & *Grants]* by World *Bank Borrowers*, January 2011 revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association ***(Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)*** to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge
on the following link: http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057.

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under **Selection Based on Consultant's Qualification (CQS)** method set out in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below **not later than October 23, 2018, 17:00 hours.**

Name: Giorgi Tsereteli
Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia Email: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილის სარეკორდო თამასა

წინა **კვირის შედეგების გათვალისწინებით, ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. გაგაცნობთ ქართველთა დღევანდელ მონაცემებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში.**

ქალები

ერთეულები. 157 (158). ეკატერინე გორგოძე (377 ქულა), 375 (418). მარიამ ბოლქვაძე (106), 502 (489). სოფიო შაფათავა (64), 890 (888). სალომე დევიძე (14), 898 (897). ზოია ქარდავა (13).

წყვილები. 71 (71). ოქსანა კალაშნიკოვა (1190), 218 (219). სოფიო შაფათავა (318). 247 (248). ეკატერინე გორგოძე (288), 529 (645). მარიამ ბოლქვაძე (84), 895 (903). სალომე დევიძე (22).

ვაჟები

ერთეულები. 23 (34). ნიკოლოზ ბასილაშვილი (1757). 924 (922). ალექსანდრე მეტრეველი (15), 1071 (1049). გიორგი ცივაძე (9), 1109 (1113). ალექსანდრე ბაქში (7), 1631 (1618). გიორგი ჯავახიშვილი (1), 1631 (1618). საბა ფურცელაძე (1).

წყვილები. 204 (203). ნიკოლოზ ბასილაშვილი (360), 528 (617). გიორგი ცივაძე (88), 1044 (1038). ალექსანდრე მეტრეველი (24), 1124 (1113). ალექსანდრე ბაქში (18).

ჩინეთის ღია პირველობაზე გამარჯვების შემდეგ საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა რეიტინგში 11 საფეხურით

აინაცვლა და ახლა 23-ე ადგილზეა, რაც ჩვენებურისთვის სარეკორდოა. მიმდინარე კვირას მას საკუთარი შედეგის გაუმჯობესების შანსი ეძლევა: ბასილაშვილმა პეკინიდან შანხაიში გადაინაცვლა და გუშინ სტარტზე კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა - 19 წლის დენის შაპოვალოვს (კანადა, 29-ე) იოლად აჯობა — 6:2, 6:2. მეორე წრეში იგი მე-4 ნომრად განთესილ ალექსანდრ ზვერევს (გერმანია, მე-5) გაუწევს მეტოქეობას.

გასულ უქმეებზე წარმატებით ითამაშა სოფიო შაფათავამაც — იტალიურ სანტა მარჯერიტა დი პულაში ჩოგბურთელ ქალთა 25-ათასიანი ტურნირის წყვილთა პაექრობაში მან ამინა ანშბასთან (რუსეთი) ერთად ყველას აჯობა — გადამწყვეტ პაექრობაში მასპინძლებს — მარტინა დი ჯუზეპე-ანა-ჯულია რემონდინას დუეტს მოუგო და პირველი ადგილი დაიკავა.

დღეს ჰონკონგის ღია პირველობაში (საპრიზო ფონდი 750.000 დოლარი) მოსინჯავს ძალებს თბილისელი ოქსანა კალაშნიკოვა — იაპონელ ნაო ჰიბინოსთან ერთად დალილა იაკუპოვიჩსა (სლოვენია) და რენატა ვორაცოვასთან (ჩეხეთი) გაარკვევს ურთიერთობას.

ლექსო ცინცაძე

◎ ხელბურთი

ქართველები - აზერბაიჯანის პირველობაზე

საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელბურთის ფედერაციების გადაწყვეტილებით, თბილისის ქალთა გუნდი „ოლიმპია“ (მწვრთნელები — **ანდრეი პორტნოი** და **ბექა ორჯონიკიძე**) აზერბაიჯანის ღია ჩემპიონატში ითამაშებს. ჩვენები მასპინძელთა ხუთ კლუბს გაუწევენ მეტოქეობას. მატჩები გაიმართება შინ და გარეთ. სეზონის განმავლობაში გუნდები ოთხ-ოთხჯერ შეხვდებიან ერთმანეთს (ორჯერ საკუთარ მოედანზე და ამდენჯერვე — სტუმრად).

„ოლიმპიას“ წევრთა ასაკი 20 წელს არ აღემატება. აზერბაიჯანის 5 კლუბიდან სამს — „აზერსუს“, „აზეროილსა“ და „ყარაბაღს“ სოლიდური შემადგენლობა ჰყავს — მათს ძირითად ბირთვს შეადგენენ გამოცდილი ლეგიონერები ბელარუსიდან, უკრაინიდან, რუსეთსა თუ მონტენეგროდან. უმეტესობას ეროვნულ ნაკრებებში თამაშის გამოცდილებაც აქვს. ჩვენი გუნდის პირველი მეტოქის ლიდერი, 31 წლის ბელარუსი **ვალენტინა იანკოვსკაია** სულაც 2008 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია რუსეთის „ზვეზდაში“. „ოლიმპიამ“ პირველი ორი მატჩი სტუმრად სწორედ „აზერსუსთან“ ითამაშა და ორჯერვე დამარცხდა.

„აზერსუ“ - „ოლიმპია“ 46:17

„აზერსუ“: სუმაროკა, მუსაევა — 1, აზოლინა — 8, მ. აბასოვა — 8, შარიფოვა — 7, იანკოვსკაია — 6, მიხალკოვიჩი — 4, ბარბაქაძე — 3, აქსალაკოვა — 3, კალმიკოვა — 2, ჩაპლიგინა — 2, რასულოვა — 1, ს. აბასოვა — 1, სპასი.

„ოლიმპია“: ჯავახია, ჩავჩიძე, ქიტესაშვილი — 6, ჯგერენაია — 3, გოგია — 2, ე. ჩხაიძე — 2, მ. ცინცაძე — 2, იაშვილი — 1, თეთრაშვილი — 1, ჩირგაძე, ა. ჩხაიძე, ქებაძე, კორძაია, ბჟალავა.

მსაჯები: თ. კევლიშვილი, ნ. კევლიშვილი, **დელეგატი:** ი. ასგაროვი.

„ოლიმპია“ - „აზერსუ“ 21:34

„ოლიმპია“: ჯავახია, ჩავჩიძე, ე. ჩხაიძე — 8, თეთრაშვილი — 3, ქიტესაშვილი — 2, ჩირგაძე — 2, იაშვილი — 2, ჯგერენაია — 1, გოგია — 1, მ. ცინცაძე — 1, ა. ჩხაიძე — 1, ქებაძე, კორძაია, ბჟალავა.

„აზერსუ“: სუმაროკა, მუსაევა, მ. აბასოვა — 7, აქსალაკოვა — 7, აზოლინა — 5, მიხალკოვიჩი — 4, შარიფოვა — 4, ჩაპლიგინა — 4, რასულოვა — 2, ბარბაქაძე — 1, იანკოვსკაია, კალმიკოვ, ს. აბასოვა, სპასი.

მსაჯები: ი. სლემანოვი, რ, სლემანოვი, **დელეგატი:** მ. ჩიხლაძე.

ანდრეი პორტნოი: მარცხის მიუხედავად, უკმაყოფილო არ ვარ. სერიოზულ გუნდებთან დაპირისპირებაში დიდ გამოცდილებას შევიძენთ. დარწმუნებული ვარ, სეზონის მეორე ნახევარში ბევრად უკეთესად ვითამაშებთ.

ბექა ორჯონიკიძე: ეს ჩემპიონატი ჩვენთვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ „ოლიმპიას“ გუნდიდან რამდენიმე ხელბურთელს ეროვნულ ნაკრებში გაისად ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო მატჩები უწევს, ხოლო ახალგაზრდებს 2019 წელს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი აქვთ.

25-26 ოქტომბერს თბილისის „ოლიმპია“ „იდმან აკადემიას“ შინ ეთამაშება.

გივი გაგუა

◎ ბატუტზე ხტომა

პორტუგალიიდან - ოთხი მედლით

წლეულს 4 ნოემბრიდან სანკტ-პეტერბურგი ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ნევისპირა ქალაქში საქართველოს სპორტის ღირსებას დაიცავენ: **უფროსებში** — ლუბა გოლოვინა, თენგიზ კოშკაძე და ნანა გოგაშვილი, **17-21-წლამდელებში** — ანა ოდიშვილი, თეონა ჯანჯღავა და ზურაბ ნოზაძე, **ახალგაზრდების** სხვადასხვა ასაკში კი გამოვლენ სოფო დაშნიანი, მარიამ რაგიმოვა, ანანო აფაქიძე და მეგი ფარულუა, რომლებიც წინა მსოფლიოს პირველობის ფინალისტები არიან.

ეს შემადგენლობა პორტუგალიის ქალაქ ლულეში დამთავრებული ორი შეჯიბრების (მსოფლიოს და ლულეს თასები) შემდეგ დაზუსტდა. ტურნირში 27 ქვეყნის სპორტსმენები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. ქართველთაგან (**მწვრთნელები** — ზაურ სულაშვილი, ლუდა გოლოვინა, ზურაბ კიკნაძე, **მსაჯები** — რუსუდან ხოფერია, ირმა სოლოღაშვილი) რვა სპორტსმენმა იასპარეზა. მსოფლიოს თასზე ლუბა გოლოვინა საკვალიფიკაციო ეტაპზე 103.925 ქულით მე-6 იყო, ფინალში კი მე-8 ადგილს დასჯერდა. თეონა ჯანჯღავამ 95.438 ქულით 29-ე ადგილი დაიკავა, ხოლო წყვილებში გოლოვინა-ჯანჯღავას დუეტი 62.700 ქულით მე-9 ადგილზე გავიდა.

ლულეს თასზე ახალგაზრდებში ნანა გოგაშვილმა 51.360 ქულით პირველობა არავის დაუთმო, 50.180 ქულით კი ბრინჯაოს მედალი ანა ოდიშვილმა მოიპოვა. 15-16-წლიანებში სოფო დაშნიანმა 50.235 ქულით ოქროს ჯილდო დაიმსახურა. ორი წლით უმცროსებში ანანო აფაქიძეს 48.565

სოფო დაშნიანი.

ქულით ვერცხლის მედალი ხვდა, ხოლო მეგი ფარულუა ფინალს მიღმა დარჩა. 13-წლამდელებში მარიამ რაგიმოვა მე-7 იყო. გუნდურში უფროსებისა და ახალგაზრდების საერთო შედეგით საქართველოს ნაკრებმა 277.635 ქულით პირველი ადგილი დაიკავა — საფრანგეთი (276.335) და უკრაინა (266.885) ჩამოიტოვა.

ლაშა დიდია

საფეხბურთო მოზაიკა

მადრიდის „ატლეტიკოსა“ და საფრანგეთის ნაკრების შემტევს ანტუან გრიზმანს მიაჩნია, რომ წლეულს „ოქროს ბურთის“ მფლობელი ფრანგი ფეხბურთელი უნდა გახდეს.

„ოქროს ბურთი“ ჩემი ოცნებაა. ამ ჯილდოს ყოველთვის საუკეთესონი იღებენ და დიდი პატივია ნომინანტთა შორის მოხვედრა. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით და ამაში ნაკრების ყველა მოთამაშეს თანაბრად მიუძღვის

წვლილი, მსოფლიოს საუკეთესო გუნდში კი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელიც უნდა იყოს. ასე არ არის?“ — უთხრა გრიზმანმა France Football-ს.

შეგახსენებთ, რომ „ოქროს ბურთის“ მფლობელის ვინაობა წლეულს 3 დეკემბერს გაირკვევა.

* * *

ინგლისური „ლივერპულის“ მწვრთნელი იურგენ კლოპი უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ მისი გუნდის ფეხბურთელები ეროვნულ ნაკრებებში წავიდნენ. კერძოდ, ერთა ლიგაზე სათამაშოდ, რომელსაც გერმანელი უაზრო ტურნირს უწოდებს.

„სამწუხაროდ, ბიჭები გაემგზავრნენ ერთა ლიგაზე სათამაშოდ, რომელიც ყველაზე უაზრო ტურნირია მსოფლიო ფეხბურთში“, — თქვა კლოპმა.

შეგახსენებთ, რომ უეფას ერთა ლიგის გათამაშება ისტორიაში პირველად ტარდება.

შესაძლოა, კლოპისთვის ეს მართლაც უაზრო ტურნირი იყოს, მაგრამ აბა ჩვენ გვკითხოს — საქართველოს ნაკრებისთვის შანსია...

* * *

„პსჟ“-ს ბრაზილიელმა შემტევმა ნეიმარმა განაცხადა, რომ მისი ვაჟი კილიან მბაპეს გულშემატკივარია.

„ჩემს შვილს მბაპე ძალიან უყვარს. ერთხელ ვარჯიშზე მყავდა წაყვანილი და მას შემდეგ სულ მასზე ლაპარაკობს. ძალიან უნდოდა მბაბესთან ერთად ფოტო გადაეღო, გადაიღო კიდეც და შემდეგ თავის მეგობრებს აჩვენა. უბედნიერესი იყო. კილიანი ნამდვილი ფენომენია

და მას დიდი რესურსი აქვს, რომ კიდევ გაიზარდოს. წარმატებებს ვუსურვებ“, — განაცხადა ნეიმარმა.

შეგახსენებთ, რომ მბაპემ „ლიონთან“ 5:0 მოგებულ შეხვედრაში ოთხი გოლი გაიტანა.

* * *

დოლს არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც ვეტერან ინგლისელ შემტევს უეინ რუნის მას შემდეგ, რაც მისმა გადარეულმა ცოლმა კოლინ ქრივმა დადასტურებით გაიგო, რომ ბეყერა ქმარი თეატრის ახალგაზრდა მსახიობთან ღალატობდა, ქვეშქვეშობდა, ჩუმჩუმელობდა და მამაძაღლობდა.

ბრიტანეთის ბულვარული პრესა ირონიულად ხითხითებს, როდესაც რუნების ოჯახში მომხდარი მორიგი ღალატით მოსილ სკანდალს განიხილავს. იმასაც კი ამბობენ, უეინს ცოლისგან უკვე იმდენი სილაქი აქვს მიღებული, რომ სახეს ფერუმარილით იფარავს და სახლიდან ისე გამოდისო.

ალბიონური მედია იქით იყოს და ჩვენც გვარიანად გვიკვირს რუნების ამბავი, რადგან თვე ისე არ გავა, უეინი და კოლინი ერთმანეთს ძაღლი-კატასავით რომ არ წაეკიდონ, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერი შერიგებით სრულდება.

გიორგი ზოთაძე

ჭიათურა, ჭიათურა, ორი კაციც და გავიდა...

თბილისის ავტოსადგურებში ისევ 90-იანი წლებია...

ამბობენ, ქაოსში იბადება წესრიგი, მაგრამ, იმ ქაოსში, რომელიც წლებია დიდუბის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზეა – მძღოლების ყვირილში, გამყიდველების ხვეწნაში, მგზავრების შეკითხვებში, ერთნაირად იკარგება ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტი, რომელიც სასურველი მიმართულების ტრანსპორტის ძებნაში უამრავ წინააღმდეგობას აწყდება.

ჭიათურა, ჭიათურა, ორი კაციც და გავიდა...

ქუთაისი აქეთ, ქუთაისი...

ასე ერთ ხმაში დაახლოებით 20-მდე ადამიანი ყვირის, უყვირიან ერთმანეთსაც, ჩხუბის მიზეზის გარკვევა რთულია, რადგან ერთმანეთში ქაოსურად ირევიან. ამ ხმებში შიგადაშიგ ქალის ხმაც ირევა, რომელიც კედელზე დამაგრებული ძველი საბჭოთა „რუპორიდან“ ისმის.

თუ ერთხელ მაინც გაგივლიათ დიდუბის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ეს სიტუაცია თქვენთვის უცხო არ იქნება. მეტიც, დასავლეთის მიმართულებით თუ გიმგზავრიათ, ნაცნობი იქნება ისიც, როგორ გხსნიან ზურგჩანთას და საბარგულისკენ მიაქანებენ, არადა ამ დროს შეიძლება საერთოდაც სულ სხვა სამარშრუტო ტაქსის მძღოლი იყოს, რომელის მიმართულებაზე არც გიფიქრიათ.

დიდუბის ტერიტორიაზე არსებულ ქაოსს მორგებულები არიან ქალები და ბავშვები, ბეჭზე გადაკიდებული მუყაოს დახლებით, რომლებიც მორიდებულად სამარშრუტო ტაქსიში სხდომ მგზავრებს სთავაზობენ – „პეჩენიებს“, „მიატნი ჟუაჩკებს“, ერთჯერად „სალფეთკებს“ და ბურბუშელას. ზოგჯერ უმართლებთ, ხშირად არა, მაგრამ მაინც დადიან და იხვეწებიან, იყიდონ მგზავრებმა იაფფასიანი პროდუქტი, რომელიც მათი ოჯახების ერთადერთი საარსებო წყაროა.

ამ ადამიანებისგან განსხვავებით, სრულიად გაუგებარ სიტუაციაში ხვდებიან უცხოელი ტურისტები, რომლებიც „დიდუბის ავტოსადგურშია“ ან „ავტოსადგურ ოკრიბაში“, იმიტომ მიდიან, რომ რუკაზე ან ინტერნეტში ნანახ, საქართველოს მნიშვნელოვან ადგილებამდე ჩააღწიონ და შთაბეჭდილება საკუთარ ქვეყნებამდე ჩაიტანონ, რა თქმა უნდა, სასიამოვნო.

ევას, რომელიც საქართველოში გერმანიიდან ჩამოვიდა, გიდობას წიგნი უწევს. დიდუბის შუაგულში ტურისტი ცდილობს, გაერკვეს როგორ გააგრძელოს მოგზაურობა და ყაზბეგის შემდეგ სიღნაღი მოინახულოს.

ევა გვიყვება, რომ საქართველოს სილამაზით აღფრთოვანებულია, მოსწონს ხალხი, კულტურა, სამზარეულო. ერთადერთი პრობლემა, რომელიც ტურისტს შეექმნა, მოუწესრიგებელი ავტოსადგურებია, სადაც ფაქტობრივად დაიკარგა.

„საქართველოს შესახებ ვიდეორგოლით გავიგე, ძალიან მომეწონა ველური ბუნება და მთები, რომელიც კლიპში ვნახე, გადავწყვიტე, ჩემი შვებულება საქართველოში გამეტარებინა, ჯერჯერობით მხოლოდ ყაზბეგი და თბილისი ვნახე, აღფრთოვანებული ვარ ამ ქვეყნის სილამაზით. ახლა მინდა კახეთში ვიმოგზაურო, თუმცა, რთულია გაერკვე როგორ იყიდო ბილეთი, არ არის მონიტორები, სადაც წერია მიმართულება და ფასი. სალაროში ვერ ამიხსნეს, რა უნდა ვქნა. სხვა ყველაფერი ამ ქვეყანაში ტურისტისთვის იდეალურია“, – ამბობს ევა.

ადგილობრივი მგზავრი კი გვეუბნება, რომ დიდუბის ტერიტორიაზე ისევ 90-იანი წლებია შემორჩენილი.

„მეგობარს ველოდები, უკვე 30 წუთია, ფეხზე ვდგავარ, არ არის საკმარისი სკამების რაოდენობა. ვერც საჭმელად შეხვალ ვერსად, გარშემო ანტისანიტარია და საშინელი სუნია. მგონია, რომ აქ ნაყიდი სწრაფი კვების პროდუქტიც არ არის უსაფრთხო. ქართველები მსგავს სიტუაციას შეჩვეულები ვართ, მაგრამ, როდესაც ტურისტული ქვეყანა ხარ, აუცილებელია ავტოსადგურის მოწესრიგება, რადგან ჩამოსული სტუმარი პირველად აქ ხვდება. ქვეყნის სირცხვილია უბრალოდ ის, რომ ასეთ ხალხმრავალ ადგილას ნორმალური სველი წერტილიც კი არ არსებობს“.

ჩვენს გერმანელ სტუმარს დახმარებას ვუწევ და ორთაჭალის ავტოსადგურში მიმყავს, კახეთის მიმართულებით რომ შეძლოს მოგზაურობა.

სიტუაცია განსხვავებულია ორთაჭალის ავტოსადგურში. აქ არც მოჩხუბარ მძღოლებს შეხვდებით და არც მხრებზე დახლჩამოკიდებულ ქალებს. ორთაჭალის სადგურის პირველი სართული მთლიანად ტურისტულ სააგენტოებს უკავიათ, აქ ძირითადად ის ადამიანები იკრიბებიან, რომლებიც თურქეთში, რუსეთში და აზერბაიჯანში მიემგზავრებიან.

შენობის მეორე სართული გაგრძნობინებს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნის შვილი ხარ. კედლები, ჭერი, შუშები, ფარდები, იატაკი, სუნი... აქვეა სასტუმრო, იაფი ფასებით და ქართული რესტორნებიც.

მიუხედავად იმისა, რომ კახეთის მომართულებით სამარშუტო ტაქსები არა სადგურიდან, არამედ მიმდებარე ტერიტორიიდან გადიან, მოგზაურისთვის შედარებით გასაგები სიტუაციაა.

აქვე ვემშვიდობებით ჩვენს გერმანელ სტუმარსაც, რომელმაც ზუსტად იცის, რომ სამარშრუტო ტაქსი სიღნაღამდე ჩაიყვანს, სადაც თბილისური ავტოსადგურებისგან განსხვავებით, დაუვიწყარი შთაბეჭდილება ელოდება.

ბაჩო ადამია

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შენობიდან შუშა არ ჩამოვარდნილა!

გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი დაუზუსტებელი ინფორმაციის საპასუხოდ ელექტროსისტემის ხელმძღვანელობამ ასეთი განმარტება მოგვაწოდა:

8 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ თანამშრომლებს კომპანიის შემინული გარე ფასადის ორი მინა დაზიანებული დახვდათ.

უსაფრთხოების მიზნით, მიმდებარე პერიმეტრი მყისიერად შემოიღობა სპეციალური ლენტით და გამოძახებული იქნა საპატრულო პოლიცია. საქმე აღიძრა 187-ე მუხლის 1 ნაწილით, რაც სხვისი ქონების განზრახ დაზიანებას გულისხმობს.

ჩატარებული საგამოძიებო სამუშაოების შემდეგ განხორციელდა დაზიანებული მინების დემონტაჟი. აღნიშნულის შედეგად არავინ დაშავებულა.

სანთელი

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, გივი ლომინაძე, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, ოთარ ჭითანავა, დემიკო ლოლაძე, ლერი ჭითანავა, იური გუგუჩია, ნოდარ შარტავა, კახა არდია, ჯემალ კვირტია, გიური ცანავა, მამუკა კვარაცხელია, გივი სოსელია, ჯამბულ წულაია, ზურაბ გოგოხია, კარლო წულაია, ვაჟა ფიფია, მურმან ნაჭყებია ღრმა მწუხარებას გამოხატავენ და სამძიმარს უცხადებენ ვალერი ჭანტურიას ძმის

გოგი ჭანტურიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტის IV მოწვევის ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრები სამძიმარს უცხადებენ ამავე ფრაქციის წევრს ვალერი ჭანტურიას ძმის

გოგი ჭანტურიას

გარდაცვალების გამო.

ფრაქციის წევრები: **გ.ლომინაძე, ვ.ყოლბაია, ე.გვაზავა, დ.გვაძაბია ა.წოწონავა, ა.გასვიანი, ო.ჭითანავა, ჯ.საჯაია, ბ.ლაგვილავა, ა.თევზაძე**

ხსოვნა

საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური და თბილისის ვეტერანთა საქალაქო და რაიონული კავშირები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შს ორგანოების ღვაწლმოსილი ვეტერანი, პარტიული და საზოგადოებრივი მოღვაწე, ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი

ბიძინა კარტოზია

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს. მამაზეციერს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

გატაცებული ქართველები ოჯახებს დაუბრუნდნენ

ოკუპირებული ცხინვალის ახალგორის ე.წ. რაიონულმა სასამართლომ მაია ოთინაშვილი ე.წ. საზღვრის უკანონო დარღვევაში დამნაშავედ ცნო და ერთწლიანი პირობითი „სასჯელი“ მიუსაჯა, ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადით.

ე.წ. სასამართლომ მაია ოთინაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ოთინაშვილი ქართულ მხარეს გუშინ სოფელ ერგნეთთან გადასცეს. მაია ოთინაშვილთან ერთად, რუსი ოკუპანტების მიერ გატაცებული მწყემსი აკაკი დოთიაშვილიც გაათავისუფლეს. ინფორმაციას სუსშიც ადასტურებენ. 50 წლის მწყემსი აკაკი დოთიაშვილი ოკუპანტებმა რამდენიმე დღის წინ ე.წ. საზღვრის კვეთის ბრალდებით დააკავეს. ოჯახმა საოკუპაციო რეჟიმის მიერ ე.წ. საზღვრის კვეთისთვის დაწესებული 2 000 რუსული რუბლი 7 ოქტომბერს გადაიხადა. მწყემსი რუსმა სამხედროებმა ორი დღის წინ სოფელ კირბალიდან იმ დროს აიყვანეს, როცა ის შვილთან და თანასოფლელთან ერთად საქონელს მწყემსავდა.

სოფელ კირცხში ხანძრის შედეგად 80 წლის მამაკაცი დაიღუპა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფელ კირცხში ხანძრის შედეგად 80 წლის მამაკაცი დაიღუპა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ხანძარი საცხოვრებელ სახლში გაჩნდა, რის შედეგადაც, დამწვარია 140 კვ.მ. ფართობი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გაუფრთხილებლობით.

რაჭაში ყურძნის მოსავლის დიდი ნაწილი დაბინავებულია

რთველი-2018-ის ფარგლებში, რაჭაში ყურძნის მოსავლის დიდი ნაწილი დაბინავებულია. ამის შესახებ რთვლის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ ანდრო ასლანიშვილმა განაცხადა.

„მიუხედავად იმისა, რომ რაჭა-ლეჩხუმში ჯერჯერობით რთველი არ დასრულებულა, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში მოსავლის დიდი ნაწილი დაბინავებულია. წელს ძალიან მაღალია ალექსანდროულისა და მუჯურეთულის გადამუშავების მაჩვენებელი. თუ გასულ წელს 800 ტონა გადამუშავდა, წელს ეს მაჩვენებელი უკვე 1497 ტონას აღწევს“, — აღნიშნა ანდრო ასლანიშვილმა.

მისი თქმით, კომუნიკაცია მევენახეებსა და მეწარმეებს შორის რთვლის პროცესში სრულად შედგა.

„ამბროლაურში მევენახეების კეთილგანწყობა შეინიშნება. რთველი ყოველთვის ემოციური მომენტია, ადამიანებს აღელვებთ თავიანთი მოსავლის დაბინავების ბედი. ის ადამიანებიც კი, რომლებიც რთვლის დასაწყისში მღელვარებას გამოხატავდნენ, ძალიან კარგ განწყობაზე არიან, რაც ჩვენ ძალიან გვახარებს“ — აღნიშნა რთვლის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა.

ანდრო ასლანიშვილის განცხადებით, 2007 წლის შემდეგ პირველმა არასუბსიდირებულმა რთველმა აჩვენა, რომ მეწარმეებიც და მევენახეებიც მზად არიან მეღვინეობის დარგის მდგრადი განვითარების პროცესში ჩასართავად.

9 ოქტომბრის მდგომარეობით, რაჭაში გადამუშავებულია 1500 ტონამდე ყურძენი - ალექსანდროული და მუჯურეთული, მევენახეების შემოსავალმა 10,4 მლნ ლარს მიაღწია. რაჭაში ყურძენი ღვინის საწარმოებს 1350-მა მევენახემ ჩააბარა. რაჭის რეგიონში რთვლის პროცესში 50-მდე ღვინის კომპანია იყო ჩართული.

მსოფლიო ფოსტის დღე

საქართველოს ფოსტა როგორც მსოფლიო საფოსტო კავშირის წევრი ეროვნული საფოსტო ოპერატორი, შეუერთდა მსოფლიო ფოსტის დღეს და მის აღსანიშნავად მომხმარებლებს გუშინ საფოსტო ბარათების უფასო გაგზავნის სერვისი შესთავაზა.

მსოფლიო ფოსტის დღე ყოველწლიურად 9 ოქტომბერს აღინიშნება, ამ ტრადიციას 1874 წელს შვეიცარიაში მსოფლიოს საფოსტო კავშირის UPU-ს სხდომაზე ჩაეყარა საფუძველი. მას შემდეგ მსოფლიოს ყველა ეროვნული საფოსტო ოპერატორი აღნიშნავს ამ დღეს.

საქართველოს ფოსტა წარმოადგენს ქვეყანაში უმსხვილეს საფოსტო ორგანიზაციას, რომელიც გამოირჩევა როგორც მომსახურების დიდი არჩევანით, ასევე სერვის ცენტრების ყველაზე ფართო ქსელით. საქართველოს ფოსტა 82 სერვის ცენტრით არის წარმოდგენილი მთელი ქვეყნის მასშტაბით და მისი მიზანია ხელმისაწვდომი გახადოს მაღალი ხარისხის საფოსტო მომსახურება ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის და უნივერსალური საფოსტო მომსახურების პრინციპებიდან გამომდინარე, დაიცვას და უზრუნველყოს თითოეული მოქალაქის უფლება, შეუფერხებლად მიიღოს საფოსტო მომსახურება ქვეყნის ნებისმიერ წერტილში.

მეტეოროლოგიური რადარი ამერიკიდან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოს ამერიკის შეერთებული შტატებისგან თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მეტეოროლოგიური რადარი გადმოეცემა, რომელიც ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება.



აღნიშნული რადარი თითქმის მთლიანად დაფარავს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას და ხელს შეუწყობს საკურორტო ზონებზე, შავი ზღვისპირეთში და მაღალმთიან რეგიონებში ამინდის პროგნოზების ხარისხის გაუმჯობესებას და ძლიერი ნალექების და მათგან გამოწვეული წყალდიდობა-წყალმოვარდნების შესახებ ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნას.

ფიქრთ გასართველად

სხვათაგან თქმული

ყალთაგანდეგი რაც უფრო მაღლა მიძვრებიან, მით უფრო ნაკლებად ჩანან.

* * *

ჯორჯური ტარაკნები არ გეგონოს: ისე დარბიან, ფეხის დადგმას ვერ მოასწრებ.

* * *

ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, მაგრამ შეიძლება რომ სამჯერ აღმოჩნდე ერთსა და იმავე წუმპეში.

* * *

როგორ შეიძლება პატიოსანი კაცის თაღლითისგან გარჩევა? მხოლოდ გამოცდილების გზით.

* * *

უსიამოვნეგასაც შეუძლია შენი გახარება, თუკი ის სხვისი უსიამოვნებაა.

* * *

სწორად ფიქრს და მართალ სიტყვას არამზადები თავს არიდებენ, ლაქლაქით კი, იცოცხლე, ქვეყანა წალეკეს.

* * *

ცხოვრეგა თევზაობა არ არის, მაგრამ ანკესი ყოველთვის არ გვიმართლებს.

* * *

ფული ცხოვრებაში მთავარი არ არის, მთავარია თვითონ ფული გქონდეს.

* * *

ძნელია ისეთი აბდაუბდის ანდა სრული უაზრობის პოვნა, რომლის გასაღებაც არ შეიძლებოდეს „ძველ ჩინურ სიბრძნედ“.

* * *

ახლო მომავალში მთლიანად შეწყდება ტუალეტის ქაღალდის ქაღალდური ვერსიის გამოცემა.

* * *

ადამიანის თავპირს ბევრი რამის თქმა შეუძლია, მეტადრე პირს.

* * *

თუ ადამიანი საკუთარ თავს გვერდიდან ვერ ხედავს, ამას იმის მაგივრად სხვები შვრებიან.

* * *

ცხოვრეგა არ გამოგდის? შენც ადექი და სხვა საქმეს მიჰყე ხელი.

* * *

ჭკუას გაკარგვინებენ? შეეცადე, რომ მართლა არ დაკარგო.

* * *

შენ თუ დაადგი ფოცხს ფეხი, სხვასაც მიეცი ფეხის დადგმის საშუალება.

* * *

თუ ფრთები გამოგესხა, ნისკარტს ნუღარ აკაკუნებ.

რას არ გაიგებ!

...დედამიწის მოსახლეობის ერთი პროცენტი შიზოფრენიითაა დაავადებული, თანაც ყოველწლიურად ამ სნეულების 2 მილიონი ახალი შემთხვევა აღინიშნება.

...ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური დაავადებებია დეპრესია, ბიპოლარული აშლილობა და შიზოფრენია.

...ძველ ეგვიპტეში კბილებს ფერფლით, ღვინის ძმრითა და პემზით იწმენდნენ, თანამედროვე კბილის ჯაგრისები კი ჩინეთში მე-15 საუკუნეში გაჩნდა.

...ადამიანთა გარდაცვალების 50 პროცენტი გულის დაავადებათა მიზეზითაა გამოწვეული.

...დღე-ღამეში ბავშვებმა 10-11, მოზარდებმა — 9-10, ზრდასრულმა ადამიანებმა კი 7-8 საათი უნდა იძინონ.

...ძველი რომაელები ოლიმპიადებს „ბერძნულ არაფრისკეთებას“ უწოდებდნენ.

...შამპანური ღვინისთვის მღვრიე ნალექის მოშორების ხერხი პირველმა **ბარბე-ნიკოლ კლიკომ** გამოიგონა და ცნობილი სასმელი „კლიკოს ქვრივის“ სახელს მისი პატივისცემის ნიშნად ატარებს.

სიცილის ფასი

ძალებს, ვისაც იუმორის გრძნობა კარგად აქვთ განვითარებული, ნაადრევად სიკვდილის რისკი სხვებზე ნაკლებად ემუქრებათ, — აცხადებენ ნორვეგიელი მედიკოსები.

სპეციალისტებმა 53 ათასი ქალბატონის მონაცემები შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ გულ-სისხლძარღვთა დარღვევების, აგრეთვე ინფექციური დაავადებების, ფილტვების პათოლოგიისა და კიბოს მიზეზით, ნაადრევი სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე მცირე სწორედ იმ მანდილოსნებშია.

იუმორის კარგი გრძნობის მქონე ქალები ყოველგვარი ინფექციური დაავადებების გამო 84 პროცენტით, ხოლო გულ-სისხლძარღვთა სნეულებების მიზეზით 73 პროცენტით იშვიათად კვდებოდნენ. მეცნიერთა აზრით, სიცილი დამცველ ზემოქმედებას ახდენს იმუნურ სისტემაზე, რაც კორტიზოლისა და სტრესის სხვა ჰორმონების გამომუშავებას ამუხრუჭებს.

რაც შეეხება იუმორის გრძნობით დაჯილდოებულ მამაკაცებს, ინფექციების მიზეზით სიკვდილიანობის მაჩვენებელი მათში 75 პროცენტით ნაკლები აღმოჩნდა, თუმცა კი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან სიცილი ვერ იცავს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6184; ევრო - 3.0033;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4128;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4258;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5402;
1000 სომხური დრამი - 5.3910.

ამინდი 10 ოქტომბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +24
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +26
თბილისი: ღამე +11, დღე +22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge